# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 50 პარასკევი, 5 მარტი 1910 წ. № 50

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ხუთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


გამოუთქმელი მწუხარებასა შინა მყოფნი **ნინო მიხეილის ასული გიორგობიანისა, თამარ და კოზმან გიორგობიანები, ელისაბედ ოქროპირის ასული ჩხეტიასი, სუსანა იოსების ასული, კოზმან** და **ერმილე იოსების ძენი გიორგობიანები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—უსაყვარლეს მეუღლის, მეორენი—საყვარელ მამის, მესამე—უძვირფასეს სიძის და უკანასკნელნი—დაუვიწყარ ძმის

## თეიმურაზ (იგივე თომა) იოსების ძის გიორგობიანისას.

გამოსვენება დანიშნულია კვირას, 7 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, არქიელის გორაზე, საკუთარ სახლიდან. (2—კვ.—1)

---

**ექვთიმე სიმონის ძე** და მეუღლე მისი **ეკატერინე თეოდორეს ასული ვაშაკიძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 5 მარტს, მათის საყვარელ შვილის

## ს ი კ ო ს

გარდაცვალების მეცხრე დღეს, გადახდილი იქნება პანაშვიდი კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე, განსვენებულის საფლავზე. (1—169—1)

---

## სახაზინო თეატრი
**სახალხო უნივერსიტეტი**
**შაბათს, 6 მარტს,**

## ლ ე ქ ც ი ა

**ექიმ გ. ვ. სობოლევსკისა**

## „მოგზაურობა შუაგულ აფრიკაში".

ლექციასთან ერთად აჩვენებს სურათებს და ტიპებს **სუდანი** და **კონგო**

(ჩემი შთაბეჭდილებანი). დასაწყისი საღამოს 8 ს. ფასები საგრძნობლად დაკლებულია: 20 კ. 2 მ.-დე, მოწაფეთათვის 40 კ. ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში და სამეურნეო საზოგადოებაში. (ნ. 2—1)

---

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი
## ქ უ თ ა ი ს შ ი

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა,** მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—20)

---

თეთრი უპირველესი აბრეშუმის თესლი, ბაღდადის ჯიშისა

## მიხრან ხანჯიანისა
## სტამბოლი-არტაკელ

საუკეთესო თეთრი აბრეშუმის თესლი ბაღდადის ჯიშისა

## თეთრი ბანდეროლით

მსურველმა უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, гост. „Кавказъ", к. 33. (3—165—2)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დ. ხას. 1—2 ს.
დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ხ.** შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი გ ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე
**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღ, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—124)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
**გ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგები ..
(წლ.—ნ.—286)

---

## კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. ბედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—114)

---

## ექიმი სპეციალისტი ძ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—5)

---

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—73

## ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზეროვის ქუჩა N 17, ბროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—41)

## ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—380)

## ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

## ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

## ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

## ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—131)

## ექიმი გ. მაგაკიანი

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ჩალ.—111)

## ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და სად. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—17)

## ექიმი ა ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

## ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—31

## დ. ქარელში

**მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინორიძე**

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჰრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხამ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—9)

---

## აგენტების საყურადღებოდ

უმორჩილესად ვთხოვ **იმ აგენტებს, რომელთაც დღემდის ანგარიში არ გაუსწორებიათ,**

◀ გაასწორონ 20 ამ თვემდის ▶

ვინც ამ რიცხვამდის ანგარიშს არ გაასწორებს, და გაყიდულ ჟურნალ-გაზეთების ფულს არ გამოგზავნის, მას იძულებული გავხდები ფული სასამართლოს წესით გადავახდევინო.
(3—2100—2) **მ. გაჩეჩილაძე.**

---

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

იღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან იაფად, აგრეთვე საცვლებს და სხვა და სხვა ხელ-საქმეს „გლადით" და „მეტკებს".
**ადრესი:** ვერა, გაბაშვილთ ქ., № 3. (10—1)

---

## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გუშინდელ „ახალ სხივში" დაბეჭდილია წერილი დეპუტატების კ. ჩხეიძის და ევ. გეგეჭკორისა. წერილი შეეხება პარნაუთელებს. პარნაუთელები, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, რამდენიმე წელიწადი სოხუმის ოლქში ბინადრობდნენ სახელმწიფო მიწაზე. ამას წინად ისინი აჰყარეს და გამოუცხადეს, აქ რუსები უნდა დავასახლოთო. ამის გამო ბ-ნი ჩხეიძე შეეკითხებია რუსის გლეხთა გადასახლების სამმართველოს უფროს გლინკას, რომელსაც უთქვამს, არა მჯერა ასეთი სისასტიკე და კავკასიაში არხიპოვს შევეკითხებიო. გასულა ხანი და ჩხეიძეს მიუღია როგორც გლინკას წერილი, ისე არხიპოვის პასუხი გლინკას შეკითხვაზე. მოგვყავს აქვე ერთიც და მეორეც.

გლინკას წერილი ჩხეიძისადმი:

თქვენ გვთხოვდით გაგვეგო, თუ რა მიზეზით გადაასახლეს 400 სული მცხოვრები სოხუმის ტყეებში მდებარე კუნაუსკის საზაგარაკო ადგილებიდან.ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს მიწადმოქმედებისა და მიწად-გამწესრიგებელ მთავარ-გამგის მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილი დეპეშის ასლი ამასთანავე გაახლოთ. საიდანაც სჩანს, რომ ის პირნი, რომელთაც თქვენ თხოვნით მოგმართეს, ქალაქ სოხუმის ოლქის პარნაუსის აგარაკის ცხოვრებიდან იყვნენ და არა კუნაუსკის ტყეების საზაგარაკო მიდამოისა, რომელნიც ხატყეთ დეპარტამენტის ცნობებით, სოხუმის ოლქში არც კი არსებობს.

კავკასიაში მიწათ-მოქმედების რწმუნებულის არხიპოვის დეპეშა:

სოხუმის ოლქში ზღვის ნაპირას მდებარე ადგილებ შორის პარნაუსკის ტყეების საზაგარაკო ადგილები ერთათ ერთ სათადარიგო მიწებათ ითვლება, სადაც შეიძლება მეურნეობა სწარმოებდეს. ხსენებული მიდამო დანიშნული იყო იმ ჩამოსახლ მცხოვრებთათვის, რომელნიც სოხუმის ოლქში 1879—1898 წლის განმავლობაში დაფუძნდნენ და დღემდე მიწის სიმცირეს გრძნობენ, ჯერ კიდევ მოუწყობელნი არიან. 1906 წ. ეს საზაგარაკო მიწები მოიჯარადრეებიდან სრულიად თავისუფალი იყო. 1907 წ. რამდენიმე მეგრელის ოჯახმა ერთის წლის ვადით იჯარით აიღო ხსენებული აგარაკის ყველა სათესი მიწები და სიმინდი დათესეს. იჯარის ვადა შემდეგ წელშიც გაგრძელდა. 1909 წელს იჯარა შეწყვიტეს, რადგან ჩამოსახლ მცხოვრებთა შორის ამ საზაგარაკო მიწების განაწილება უნდა მოეხდინათ. მოიჯარადრე მეგრელებს კი ადგილიდან აბარგება და წასვლა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებით გადაგასახლებთო. მიწები არ გაუნაწილებიათ, რადგან ამ დროს მოსაზღვრე მიწათ-მფლობელთა საზღვრების გასინჯვა მოხდა. ნამესტნიკის განკარგულებით მოიჯარადრე 19 მეგრელის ოჯახს ნება მიეცა დარჩენილიყო იქვე მოსავლის შეგროვებამდე, მხოლოდ იმ ხელწერილობითი პირობით, რომ მოსავლის მოგროვებისათანავე, სექტემბერში, აგარაკს დაუყოვნებლივ დასტოვებდენ. ხელწერილის მიცემაზე მოიჯარადრენი არ დასთანხმდენ და აგარაკიდან თავის ნებით არ წავიდენ. ამ დროს მათთან დასახლდა კიდევ სხვა 30 ოჯახი, რომელთაც სახაზინო მიწები ძალით ჩაიგდეს ხელში. ტყის დარაჯთა სიცოტავის გამო ტყის დამცველებს ძალა არ შესწევდათ იმათთვის წინააღმდეგობა გაეწიათ. ამას მოყვა ნამესტნიკის განკარგულებაც, რომლის ძალით პოლიციური ზომებით უნდა გადაესახლებინათ აგარაკიდან მიწების ძალით ხელში ჩამგდებნი და ყოფილი მოიჯარადრენიც. მომალადეებს და მოიჯარადრენს არავითარი კულტურა არ ქონიათ.

ამის გამო დეპუტატები სწერენ:

დუმაში შეკითხვის გასაყვანად, როგორც იცით, საჭიროა იურიდიულის მხრით შეკითხვის დასაბუთება. მაგრამ, ვიმეორებთ, თუ ამ მხარეს გამოვეკიდეთ, ათასში ერთხელ შეკითხვას ვერ შეიტანთ.

ჩვენთვის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს საქმის შინაარს, მის წარსულს და აწმყოს, მთავრობის საზოგადო ტაქტიკას და პრაქტიკას ამა თუ იმ საქმეში.

როგორც ზემოდ მოყვანილ დეპეშებიდან დაინახავთ, საჭიროა ვიცოდეთ:

1. რამდენად მართალია, თითქო სოხუმის ოლქში ზღვის პირად პარნაუთის ტყის აგარაკი ერთად-ერთი ადგილია, რომელიც ვარგა სამიწათ-მოქმედო მეურნეობისათვის?

2. ვინაა ეს «კრიმსკიე ნასელენიე», რომელიც აქვე მეზობლად დასახლებულა. ვისგან შესდგება ეს მცხოვრებლები, როდის გადმოსახლდნენ აქ, ვინ გადმოასახლა, რა პირობით, რა მიწაზე სახლობენ, რამდენი მიწა აქვთ ახლა, რას მუშაობენ, როგორია მათი ეკონომიური მდგომარეობა, ვის ეკუთვნოდა ის მიწები, რომელნიც დღეს მათ ხელშია, სად წავიდნენ ან რა ბედი ეწიათ მათ, ვინც აქ წინად ცხოვრობდნენ? ნებით წავიდნენ აქედან უწინდელი ადგილობრივი მცხოვრებნი, თუ ძალით გარეკა ვინმემ?

3. რა მიზეზია, რომ 1879-დან 1898 წლამდე აქ გადმოსახლებული დღემდი მოუწყობელნი არიან, როგორც ამას ამტკიცებს ტელეგრამმა?

4. რა რიგად მოხდა, რომ 1906 წლამდე დასახლებული აგარაკი სრულიად თავისუფალი იყო (თუ მართალია) მოიჯარადრეებისაგან, როცა მიწა ძეტად ესაჭიროებოდა იმათ, ვინც აგერ ოცდა-ათი წელია აქ გადმოუსახლებიათ?

5. რამდენად მართალია, რომ მეგრელებს იჯარა მიეცათ ერთი წლით და რატომ ერთი წლით და სხვა და სხვა...

ყველა, ვისაც კი რაიმე ცნობები აქვს ამის შესახებ, უნდა დაუყოვნებლივ მიაწოდოს დეპუტატებს. განსაკუთრებით ეს საქმე უნდა ითაონ სოხუმელებმა, რომელთაც ერთ კვირაში შეუძლიანთ ყოველგვარ ცნობების შეკრება.

აქვე არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ახირებული ზნე ჩვენის დეპუტატებისა. მუდამ, როცა-კი რამე მოხდება, საყვედურით იკლებენ ყველას, რატომ ცნობებს არ გვაწვდითო. ეხლაც ასეა:

კაი ხანია, რაც პარნაუთელი გლეხების აწიოკება მოხდა. ამას მოჰყვა ჩვეულებრივი ჩვენებური ყიჟინი და ფართი-ფურთი და ბოლოს გულის და სინდისის დასამშვიდებლათ მოინაზა დამნაშავე: ჩვენი დეპუტატები.

მადლობა ღმერთს, რომ ახლა ასეთი თავის გასამართლებელი საშუალება გვაქვს.

ძველი ამბავია, რომ ჩვენში ფართი-ფურთი ბევრი იციან და საქმე კი ნაკლებად კეთდება. მაგრამ რათა ჰგონიათ დეპუტატებს, რომ თითონ ისინიც არ არიან მოვალენი, ცოტაოდენი ფეხა გამოიჩინონ, იზრუნონ და მოჰკრიბონ ხოლმე ცნობები ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. რატომ არა აქვთ ადგილობრივ რაიმე წრე ან ორგანიზაცია, რომელიც ყოველ ასეთ შემთხვევაში იზრუნებს, ცნობებსაც შეჰკრებს და სხვა გვარადაც დაეხმარება დეპუტატებს? რატომ არავითარი კავშირი არა აქვთ ამომრჩევლებთან, ხოლო თუ აქვთ კავშირი, ვილას ეუბნებიან საყვედურს — ცნობებს არ გვაწვდითო? თუ ბ-ნნი ჩხეიძე და გეგეჭკორი გაზეთებს გულისხმობენ, კარგად უნდა ესმოდეთ, რომ გაზეთები იმ ცნობებს, რომელიც შეკითხვისთვის არის საჭირო, ვერ მიაწოდებენ. გაზეთებმა გააკეთეს ის, რაც შეეძლოთ—აღნიშნეს ფაქტი, აღწერეს გლეხების უბედურება, დანარჩენისთვის თვითონ დეპუტატებს უნდა ეზრუნათ. ჩვენ გაზეთში პარნაუთელების ამბავი დაიბეჭდა 27 ნოემბერს, ამაზე ადრე ეს ამბავი დაიბეჭდა ქუთათურ გაზეთ „ფონში". დეპუტატებს მაშინვე უნდა გაემართათ მიწერ-მოწერა ამომრჩევლებთან ან სხვა ვინმესთან, და დღეს ხელთ ექნებოდათ საჭირო ცნობები. კარგად უნდა სცოდნოდათ დეპუტატებს ისიც, თუ რა პასუხს მიიღებდნენ მთავრობისაგან, ამიტომ ამ პასუხს მზად უნდა დახვედროდნენ.

ამის ნაცვლად ისინი სხვებს უსაყვედურებენ და თითონ-კი ხელს იბანენ—„მადლობა ღმერთს, რომ ახლა ასეთი თავის გასამართლებელი საშუალება გვაქვსო". შეეკითხნენ გლინკას—მართალია თუ არა, რასაც გაზეთები სწერენო, და გული დაიმშვიდეს, ჩვენი მოვალეობა მოვიხადეთო...

---

**მნათე (სტაროსტა) წმ. სამების ეკკლესიისა** უმორჩილესად სთხოვს მრევლსა ზემოაღნიშნულის ეკკლესიისას, რომ მიბრძანდენ 7 ამა მარტისას, კვირა დღეს, ეკკლესიაში, სადაც უნდა **მოხდეს არჩევანი მედავითნისა** და იქმნეს ხელმოწერილი არჩევანის ოქმი იმ დღისა, უკეთუ შესდგება კრება.

წმ. სამების ეკკლესიის მნათე (სტაროსტა) გიორგი სიმონის ძე **ივანოვი.**
4—163—2

---

კვირას, 7 მარტს,
**ავლაბრის აუდიტორიაში**
ქ-ნი კამბელაშვილი ქართულად წაიკითხავს

## „იასონის"

შვიდ ბუნდოვან სურათებით. დასაწყისი თერთმეტ საათზე. (3—2)

---

## გამგეობა
**ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა**

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ წევრთა მორიგი ჩვეულებრივი საზოგადო წლიური კრება დანიშნულია კვირას, 7 მარტს, დილის 9 საათისთვის ბანკისავე შენობაში. უმთავრესი განსახილველი საგნები:

1. 1909 წლის ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;
2. ამა 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება;
3. მოხსენება: საბჭოსი, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
4. არჩევა საბჭოს ორის წევრისა, ნაცვლად ს. გაჩეჩილაძის და ბ. კელენჯერიძისა და აგრეთვე გამგეობის ერთის წევრის, ნაცვლად ტ. ნიორაძისა. (3—6.—3)

---

## სახელმწიფო სათათბირო
(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.**

3 მარტს სათათბირო შეუდგა სახალხო განათლების, სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. პირველ სხდომაზევე შეტაკება მოხდა.

მომხსენებელმა **კაპუსტინმა** მოახსენა სათათბიროს ხარჯთ-აღრიცხვა. ამ სამინისტროსთვის გადადებული ყოფილა 76,847,260 მანეთი. სამინისტროს ეს თანხა 848,802 მანეთით შეუმცირებია. მომხსენებელმა აცნობა სათათბიროს ისიც, რომელი სურვილი აასრულა სამინისტრომ და რომელი არა, და აგრეთვე ის, თუ რის ასრულებაა კიდევ საჭირო.

**სახ. განათლების მინისტრმა** მეტად უკმეხის კილოთი გასცა პასუხი სათათბიროს. მისის აზრით, სამინისტრო ძალიან წესიერად იქცეოდა და იქცევა და ასრულებს რის ასრულებაც შეიძლება. მინისტრმა განსაკუთრებით იუკადრისა ხარჯის შემცირება.

**პურიშკევიჩი.** ორატორი უმთავრესად შეეხო უმაღლეს სკოლის მდგომარეობას. ჯერ ქება შეასხა მინისტრს შვარცს—მტკიცე ხელით მიჰყავს სკოლის საქმეო. შემდეგ ილაპარაკა პროფესორებზე. პროფესორთა ინსტიტუტი ხელს უწყობს სტუდენტების რევოლიუციონურ მოძრაობას. პროფესორებს კავშირი აქვთ და ამ კავშირის წყალობით გზა შეკრული აქვთ გამოჩენილ მემარჯვენე პროფესორებს. უნივერსიტეტის საქმეებს განაგებენ სტუდენტი რევოლიუციონერები და ებრაელები. მეტი ნაწილი სტიპენდიებისაც ებრაელებს ეძლევათ. პეტერბურგის უნივერსიტეტში, სტაროსტათა საბჭოში ერთი ქალი ებრაელია, რომელსაც „იურიდიულ მატკას" ეძახიან და რომელთანაც საბჭოს ყველა წევრს ახლო ფიციკური დამოკიდებულება აქვს.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ერთი ალიაქოთი გამოიწვია სათათბიროში. აქეთ-იქიდან გაისმა: „გადი, გაეთრიე არამზადავ!“ და სხვა. პურიშკევიჩი კიდევ იძახდა—არ წავალო.

**თავმჯდომარე ხომიაკოვი**. რაც კათედრიდან ითქვა, მთქმელის სინიდისმა ზღოსო.

**მილიუკოვი** (ადგილიდან). არ შეიძლება პურიშკევიჩის სინიდისს მივმართოთ.

უარესი ხმაურობა.

**თავმჯდომარე**. ვთხოვ მილიუკოვს, ზრდილობიანად დაიჭიროს თავი.

ცხარე ტაში მარჯვნივ ყვირილი: „დახურეთ კრება! შორს პურიშკევიჩი!“

**თავმჯდომარე**. მე ნებას არ მივცემ, შეურაცხყონ ვინმეს პიროვნება, აქ-კი პიროვნება არავის უხსენებია.

კვლავ ხმაურობა, ყვირილი: „პიროვნება შეურაცხყვეს, აბა სტენოგრამმა წაიკითხეთ!“

**თავმჯდომარე**. გთხოვთ, ნუ მასწავლით და სისაძაგლის ჩადენის ნებას ნურავის აძლევთ.

**მილიუკოვი**. თქვენ არ უნდა მისცეთ ნება სისაძაგლის ჩადენისა.

**თავმჯდომარე**. ბატონო მილიუკოვ! სკამებიდან ლანძღვის ნებას არ მოგცემთ (საშინელი ხმაურობა, ყვირილი). თუ სათათბიროს ბაზრათ გადააქცევთ, სხდომას დავხურავ!

**ხმები**. დახურეთ, დახურეთ!

**თავმჯდომარე**. ვაცხადებ, რომ ერთი საათით სხდომა შეწყვეტილია.

ამ რიგად, თავმჯდომარემ პურიშკევიჩის ნაცვლად, რომელმაც საზიზღრობა სთქვა, შენიშვნა მილიუკოვს მისცა.

განახლდა სხდომა.

**თავმჯდომარე**. გადავათვალიერე რა სტენოგრამმა, დავრწმუნდი, რომ დეპ. პურიშკევიჩმა ყოვლად შეუფერებელი რამე სთქვა. მან ნება მისცა თავის თავს და შეურაცხყოფა მიაყენა ქალს, რამაც ბუნებრივი აღელვება გამოიწვია სათათბიროში. ამის გამო პურიშკევიჩს სიტყვის გაგრძელების ნებას აღარ მივცემ. მაგრამ არ შემიძლიან ისიც არ ავღნიშნო, რომ სათათბიროს წევრებიც შეუფერებლად იქცეოდნენ. ხმაურობას და უწესოებას მეთაურობდა ერთი დიდი ფრაქციის ლიდერი. მე ორჯერ მივეცი შენიშვნა მილიუკოვს, მაგრამ მას მაინც ისე ეჭირა თავი, როგორც არ შეეფერება დეპუტატს. კვლავ ვაძლევ შენიშვნას და ვამბობ, რომ ასეთი ყოფა-ქცევა შეუწყნარებელია, მეტიც—სამარცხვინოა.

**მილიუკოვი**. უკანასკნელის გამო პროტესტს ვაცხადებ!

მემარჯვენეები თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ სათათბიროდან გავიდნენ. წავიდა აგრეთვე თავმჯდომარე ხომიაკოვი და იმისი ადგილი დაიჭირა შიდლოვსკიმ.

**ფონ-ანრეპი**. სახალხო განათლების სამინისტრომ დღეს აშკარად დაგვანახვა, რომ იგი არაფრად აგდებს სათათბიროს აზრსა და სურვილს. მინისტრი გულ-დასმით „სწმენდავს“ სასწავლებლებს არა კეთილ საიმედო ელემენტებისაგან, მაგრამ ეს ხომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოვალეობაა. შემდეგ, ორატორმა გამოსთქვა სურვილი ოქტომბრისტებისა: სასურვილია დაწესდეს კავშირი დაბალ და მაღალ სკოლის შორის; დამოუკიდებლობა მიეცეს საშუალო და მაღალ სკოლას. სასურველია სწავლა-განათლების საქმეში მეტი თავისუფლება მიენიჭოს ადგილობრივ თვით-მმართველობებს და ადგილობრივ მოღვაწეებსაო. შემდეგ ორატორი შეეხო სამინისტროს მოღვაწეობას. სამინისტრო კვლავ ცენტრალიზმის გზას დაადგა, კვლავ უნდობლად ექცევა ადგილობრივ ორგანიზაციებს, კვლავ ზღუდავს უნივერსიტეტების ავტონომიას. ბრძოლა კრამოლასთან სახალხო განათლების სამინისტროს საქმე არ არის. ეს სამინისტრო კულტურულ გზას უნდა დაადგეს.

ილაპარაკეს აგრეთვე მლ. ტიტოვმა და ბელოუსოვმა.

საღამოს სხდომაზე სათათბირომ დაამთავრა კამათი ოპოლის შეკითხვის შესახებ. ოქტომბრისტებმა წაიკითხეს თავიანთი ფორმულა: სცნობს რა დამაკმაყოფილებლად მთავრობის განმარტებას ხელდებას გუბერნატორის მოქმედებათა შესახებ, სათათბირო სურვილს აცხადებს, რომ ამიერიდან კანონის გამოცემამდე, მთავრობა შეაჩერებს ერთი სარწმუნოების ეკლესიების მეორე სარწმუნოებისთვის გადაცემას. ამასთან სათათბირო ჯერა, რომ მთავრობა განახორციელებს სინიდისის თავისუფლების საფუძვლებს და ამით მოსპობს უთანხმოებას და შეტაკებას სხვა და სხვა სარწმუნოების შორის.

ამ სხდომის ბოლო დეპეშას ჯერ არ გადმოუცია.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მარტი.

**საზღვარ-გარედ.**

**ვენეცია**. ტარნოვსკაიას საქმე. ტარნოვსკაიამ უამბო მოსამართლეებს, თუ როგორ გახდა ნაუმოვის საყვარელი, კიევში ხშირად დავიარებოდი ნაუმოვთან ერთად და აქ დაუახლოვდით ერთმანეთსო. ერთსა და იმავე დროს დაახლოვებული ვიყავი სამ კაცთან, პრილუკოვსა, ნაუმოვსა და კომაროვსკისთანაო. კომაროვსკიმ წინადადება მომცა ცოლად გავყოლოდი და მეც დავთანხმდი, რადგან ცხოვრებაში დამცველს ვეძებდი. ტყუილია ის, ვითომ პრილუკოვს ვსთხოვდი ჩემ სასარგებლოდ თავი დაეზღვევა და შემდეგ თავი მოეკლა. რად მინდოდა სხვისი ფული, როდესაც მამაჩემი მდიდარი კაცი იყო და ფული საკმაო მქონდა. ვენეციაში კომაროვსკისა და პრილუკოვთან ერთად წაველი. კომაროვსკიმ ვენეციაში თავი დაიზღვევა და ანდერძი დასტოვა. ჩემს დღეში ფიქრადაც არ მომსვლია რომ ნაუმოვისთვის, ან პრილუკოვისთვის მეთქვას, კომაროვსკი მოჰკალითო. ეს აზრი პირველად გამოსთქვა პრილუკოვმა. პრილუკოვის აზრმა შემაშინა და ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ამის შემდეგ ნაუმოვთან ერთად კიევში წაველი. კიევში პრილუკოვმა კომაროვსკის სახელით ყალბი დეპეშა გამომიგზავნა, დეპეშაში კომაროვსკი მე და ნაუმოვს გვლანძღავდა. დეპეშის მიღების შემდეგ ნაუმოვმა გადასწყვიტა, სამაგიერო გადაეხადნა კომაროვსკისთვის. როდესაც ნაუმოვმა კომაროვსკის რევოლვერი ესროლა, კომაროვსკიმ დეპეშით მომთხოვა ვენეციაში ჩასვლა, მაგრამ პრილუკოვმა არ გამიშვა და ვენეციის მაგივრად ვენაში წაველი. ვენაში დამაპატიმრესო. თავმჯდომარის და ვექილების შეკითხვაზედ ტარნოვსკაიამ განაცხადა, ნაუმოვს მიტომ ვსთხოვდი ვენაში საიდუმლოდ ეცხოვრნა, რომ მეშინოდა კომაროვსკის არ შეხვედროდა და ჩხუბი არ მოსვლოდაო. აგრეთვე მეშინოდა, რომ ნაუმოვს თავი არ მოეკლა, ამიტომ ურჩიე პასპორტი ეშოვნა და ჩემთან ერთად ეცხოვრა ვენაში. ნაუმოვისთვის არ მირჩევია კომაროვსკის მოკვლა. კომაროვსკის მკვლელობის ინიციატივა პრილუკოვს ეკუთვნის. პრილუკოვს თვითონ უნდოდა კომაროვსკის მოკვლა, მაგრამ თუ ეს არ შეასრულა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინოდა, ვაი თუ კომაროვსკის მოკვლის შემდეგ ტარნოვსკაიამ სიყვარულზედ უარი მითხრასო. მაშინ პრილუკოვმა გადასწყვიტა ნაუმოვისთვის მოეკვლევინებინა კომაროვსკი, რაიც სისრულეშიაც მოიყვანაო. წაიკითხეს დეპეშები, საიდანაც სჩანს, რომ ნაუმოვი ვენაში კომაროვსკის დაზღვევის მეორე დღეს ჩასულა. თავმჯდომარის შეკითხვაზედ, თუ რად მოხდა, რომ ტარნოვსკაიამ ნაუმოვს სიყვარულის დეპეშა გაუგზავნა, ვენაში ჩამოსვლა სთხოვა და როდესაც ნაუმოვი ჩამოვიდა ტარნოვსკაიამ კი იგი ცივად მიიღო, ტარნოვსკაიამ განაცხადა, ამ დროს ავად ვიყავი და გუნება ხშირად მეცვლებოდა. პრილუკოვის შთაგონებით ნაუმოვს ვაჩვენე პრილუკოვის მიერ გამოგზავნილი დეპეშა, რომელშიაც კომაროვსკი მე და ნაუმოვს გვლანძღავდა. მე წინ-და-წინვე არაფერი ვიცოდი ამ დეპეშის შესახებ, ნაუმოვისთვის არ შთამიგონებია კომაროვსკის მოკვლა, პირიქით ურჩევდი არ ჩაედინა ეს საქმე, მაგრამ როდესაც ნაუმოვმა საბოლოოდ გადასწყვიტა კომაროვსკის მოკვლა, ვურჩიე ვენეციაში წასულიყო და თან დავარიგე, სიფრთხილით მოქცეულიყოო.

**ბერლინი**. ლანდტაგი. ცენტრის და კონსერვატორების შესწორებით მიიღეს ახალი საარჩევნო კანონი. სოციალ-დემოკრატმა ლიბკნეხტმა ლანდტაგს ძველმანების დუქანი უწოდა. დეპუტატებმა აურზაური ასტეხეს. ზოგიერთი დეპუტატები ტრიბუნიდან მივარდნენ. ცოტას გასწყდა დეპუტატებს შეტაკება არ მოუვიდათ. თავმჯდომარემ ლიბკნეხტს ორჯერ მისცა შენიშვნა.

რეიხსტაგი. ილაპარაკა კანცლერმა. კანცლერი შეეხო საგარეო პოლიტიკას და პასუხი გასცა ზოგიერთ დეპუტატებს, რომლებმაც მთავრობას უსაყვედურეს, საგარეო პოლიტიკას რიგიანად ვერ აწარმოებენო. კანცლერმა სთქვა: ცუდი ნიშანია, როდესაც შინაურებსა და უცხოებში სახელს უტხავენ საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელებს. შინაური პოლიტიკით უკმაყოფილება საგარეო პოლიტიკაზე არ უნდა გადავიტანოთო. გარეშე საქმეთა მინისტრი ფონ-შენი შეეხო მაროკკოს საქმეებს და კონსულების დიპლომატიურ მოქმედებას. ფონ-შენმა განაცხადა, კონსულებად გავლენიან და მცოდნე კომერციულ ძალებს ვნიშნავთ. გერმანიამ აღმოსავლეთ რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში კონსულები დანიშნა და ამას გარდა გადაწყვეტილი აქვს კონსულები დანიშნოს ომსკსა, ტომსკსა და ირკუტსკშიო. ბაღდადის რკინის გზა ოსმალეთის ინტერესებს არ დაარღვევსო.

**ბრანდბურგი**. ხალხმა დემონსტრაცია მოახდინა. დემონსტრაცია მიმართული იყო ახალ საარჩევნო კანონის წინააღმდეგ. დემონსტრანტებს და პოლიციას შეტაკება მოუვიდათ. დემონსტრანტებმა პოლიციელებს ბოთლები დაუშინეს. პოლიციამ დასჭრა რვა კაცი. დააპატიმრეს აუარებელი ხალხი.

**ლონდონი**. საზღვაო უწყების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს დეპუტატებმა წინადადება შეიტანეს, საზღვაო უწყებამ საბოლოოდ შეიმუშავოს საზღვაო პროგრამმაო. საზღვაო მინისტრმა მაკკენამ უარჰყო ეს წინადადება, ინგლისი სხვა სახელმწიფოების დაგვარად იქცევა და რამდენადაც ეს უკანასკნელნი თავიანთ ფლოტს გააძლიერებენ, იმდენად ინგლისი გააძლიერებს თავის ფლოტსო. სამინისტრომ დანამდვილებით იცის, რომელ სახელმწიფოს რამდენი და რა ღირსების გემი აქვს. გერმანიამ რომ თავის საზღვაო პროგრამმის განხორციელება დააჩქაროს, 1913 წლის ბოლოს 21 „დრედნოუტი“ ეყოლება. საბედნიეროდ 1913 წლის შემდეგ გერმანია ყოველ წლივ მხოლოდ ორ-ორ გემს ააგებს. პალატამ არ შეიწყნარა რადიკალების წინადადება, ფლოტის მოსამსახურეთა რიცხვი 3000 კაცით შევამციროთო.

**სტამბოლი**. „ტანინი“ სწერს: ბოლგარიის და სერბიის მეფეების სტამბოლში ჩამოსვლის ინიციატივა რუსეთს ეკუთვნის. სლავიანთა მეფეების სტამბოლში ჩამოსვლა ამტკიცებს, რომ ოსმალეთს და ბალკანეთის ძლევამოსილ სახელმწიფოებს შორის მეგობრობა არსებობს. ამ ჟამად ბალკანეთის პოლიტიკის ჩრდილოეთი ცენტრი პეტერბურგშია, სამხრეთი ცენტრი სტამბოლში. ჩვენ უნდა ვაფასებდეთ რუსეთის მეგობრობას და სისულელე იქნება გამოწვდილი ხელი უკუვაგდოთო.

**ბერლინი**. სოციალ-დემოკრატებმა 48 მიტინგი გამართეს. ყველგან პროტესტი განაცხადეს ახალ საარჩევნო კანონის წინააღმდეგ.

**ბერლინი**. ლანდტაგი. საარჩევნო კანონის განხილვის დროს მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა: თუ ლანდტაგის უმრავლესობა არა პირდაპირ არჩევნების დარჩენასა და საიდუმლო კენჭის ყრის დაწესებას მოითხოვს, მთავრობა მიიღებს ლანდტაგის გადაწყვეტილებას, თუმცა თავის წინადადებას უფრო სამართლიანად სთვლისო.

**სტამბოლი**. დეპუტატთა პალატა შეუდგა იმ კანონ-პროექტის განხილვას, რომლითაც უძრავ ქონებაზედ გადასახადი უნდა დაწესდეს. ფინანსთა მინისტრმა ითხოვა, რომ პალატამ დააჩქაროს კანონ-პროექტის განხილვა. მინისტრმა პალატას განუმარტა თუ რითი ხელმძღვანელობდა კანონ-პროექტის შედგენის დროს. მინისტრის სიტყვით, საჭიროა, რომ უძრავ ქონებაზედ ერთგვარი თორმეტ პროცენტიანი გადასახადი დავაწესოთო. გადასახადისაგან განთავისუფლდებიან მემამულეების და მუშების სახლები, ხელმწიფის სასახლე და საეკლესიო შენობანი,

**ბერლინი**. რეიხსტაგი. გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს კანიცმა პროტესტი განაცხადა. ტყუილია ის, ვითომ რუსეთი მხარს უჭერდეს ბალკანეთის სახელმწიფოების ლტოლვილებას, ტერიტორიის გადიდების შესახებაო. დეპუტატმა კეპფმა სთქვა, რუსეთში გერმანელ ვაჭრებს და ებრაელებს ათასნაირ შევიწროებას აყენებენ. დეპუტატმა დზებოვსკიმ განაცხადა, რუსეთ-გერმანიის

* * *

რაც ხან აქ ვარ, დამენატრა
მეგობრებთან საუბარი;
მაგრამ ფიქრებს, მწვავე ფიქრებს,
არ აქვთ ზღუდე და საზღვარი!
მე მათი ვარ, იმათ ვეტრფი,
ვეტრფი, როგორც მტანჯველ სატრფოს;
დეე, მათმა ტალღათ ტყორცნამ
ჩემ შავ-ბედთან მაკამათოს:
ხან მაცინოს გესლიანათ,
ხან მიწუხოს გული მწარეთ;
ხან თვით მკვდრეთით აღმადგინოს
და ხან დამსვას მგლოვიარეთ.
მათშიც არის გაზაფხული,
თვისებური, საალერსო;
მათში მინდა სიყვარულთან
შხამ ნაღველიც ამოვლესო!
მერე შევკრა თაიგულათ,
დავასვენო ჩემს საფლავზე
და ზედ ეკლით დავაწერო:
„მოკვდა მგზავრი შუა გზაზე!..“

**ი. ევდოშვილი.**

# ი რ—ნ ს.

ნუ, ნუღარ მეტყვი, თუ რა გაღონებს!
წადი, შენი გზა გადაიარე;
იტანჯე, შენთან მეც გამტანჯევი,
კვნესა გულისა გამიზიარე!
რასაც გრძნობ-მესმის... რაც გავალებს—
ჩემს სულში მტკიცეთ ბუდობს, ბინადრობს;
შენი ზამთარი ჩემს გაზაფხულსა
უსიხარულოდ აჰკნობს და აზრობს!
რასაც ჩურჩულით მეუბნებოდი
დაჩაგრულების უბედობაზე—
წადი, იარე, და თუ მომიკვდი—
ზედ დაგაწერავ საფლავის ქვაზე!..

**ახახპირელი.**

# ქუთათური ფელეტონი

(**ჯეჯილის იუბილეს გამო**)

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ სიკვდილი ქირისუფლისათვის სასამძიმროა, იუბილეი კი მისალოცავი დღესასწაული. მაგრამ დღეს მე ჩვეულებას უნდა გადავცდე და იუბილეისთან ჩვენ კეთილ პედაგოგთა წრეს ორი სიკვდილიც უნდა მივულოცო, რადგან ეს ორი სიკვდილი და ერთი იუბილეი—სამივე ნამდვილი აპოთეოზია იმ წრის მოძღვართათვის, რომელთაც ნაციონალურ და რაციონალურ სკოლისა და სწავლების დამყარება დაუსახავთ მიზნად ჩვენ ქვეყანაში.

მე მოკახსენებთ „ნაკადულის“ რედაქტორის მ. დემურიასა და მასწავლებლის მელ. ჩოგოვაძის სიკვდილსა და „ჯეჯილის“ რედაქტორის ან. თუმანიშვილი-წერეთლის იუბილეიზე. ეს სიკვდილიც და იუბილეიც ჩვენი, წელში გაწყვეტილ ქართველ პედაგოგის, გამამხნევებელ და აღმაფრთოვანებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ასეთის პატივით და მწუხარებით ჩვენში ჯერ მიცვალებულს იშვიათად მიჰყოლია ჩვენი საზოგადოება სამარის კარამდე, ასეთის გულწრფელ მადლობით იშვიათად დაჯილდოვებულა ჩვენში მშვიდი და არა მყვირალა მოღვაწე, როგორიც იყო ანასტასია წერეთლისა. ამათ სამივემ საპედაგოგო ასპარეზი აირჩიეს სამოღვაწეოდ და სამივე ტიპიური წარმომადგენელია კეთილ მოძღვრისა, რომელსაც თურმე ჩვენი საზოგადოება შესაფერად და ღირსეულად აფასებდა:

მ. დემურიას დაკრძალვას ტფილისში მრავალნი დასწრებიან. მრავალი საგულისხმო სიტყვა წარმოითქვა; გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, რომლებშიაც ღრმა წუხარება იყო გამოთქმული ასეთ ადამიანის დაკარგვის გამო. საშუალო და მაღალ სასწავლებლებიდან, სადაც ქართული მოსწავლე ახალგაზრდობა მოიპოვება, სამძიმრის დეპეშები მოვიდა.

მელ. ჩოგოვაძის დასაფლავება ქუთაისში საარაკო რამ იყო: არც ერთ ქუჩაზე, სადაც მიცვალებული გაატარეს, გამყოლი ხალხი არ ეტეოდა. ყველას მწუხარე და წრფელი ქირისუფლის სახე ედო; სიტყვებს დასასრული არა ჰქონდა და ყველა სიტყვაში განსვენებულს ახასიათებდნენ, როგორც სასარგებლო მასწავლებელს, და ყოველი ცრემლი, მის კუბოსთან დაღვრილი, კარგი მასწავლებლის დაკარგვის მწუხარებით იყო გამოწვეული.

ახლა გადავიდეთ 26 ამ თებერვალს ქუთაისში გამართულ ან. წერეთლის იუბილეიზე. ამ დღესასწაულის სიდიადეს მხოლოდ თუ იგრძნობს თვალით მხილავი, აღწერა კი ძნელია. როცა ეს სიდიადე დაინახა სიხარულით აღტაცებულმა ჩვენმა მხცოვანმა პოეტმა აკაკიმ, მთრთოლვარე ხმით მოკლე და აღფრთოვანებულის სიტყვით მიმართა თეატრში მყოფთ. სხვათა შორის აი, რა გვითხრა: საფრანგეთის დამარცხებაში და გერმანიის გამარჯვებაში მოლტკესა და ბისმარკს იმდენი წილი არ უდევთ, რამდენიც სახალხო სკოლის მასწავლებლებს; ახლა მე, როცა მალე „აწ განუტევე“ უნდა მითხრან, იმ სიხარულით უნდა გამოვეთხოვო ჩვენ ქვეყანას, რომ ჩვენ ერს გამარჯვების გზაზე ისეთი მასწავლებლები წაუძღვებიან, რომელთა წრეს თავის თავიან და ნაყოფიერ შრომით იუბილიარი ეკუთვნისო. აკაკის ასეთი სიტყვები უთუოდ იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ მან ცხადათ დაინახა აქ, რა მჭიდრო კავშირი დამყარებულიყო ჩვენს ოჯახსა და იმ მასწავლებელთა შორის, რომელნიც მართლა ნაყოფიერ საზრდოს აწვდიან ოჯახის შვილებს. თეატრი გაჭედილი იყო მხოლოდ დედა და პაწია შვილებით, მამებს და მოზდილებს თითქო მარტო მათთვის დაეთმოთ ადგილი. ისინი აქა-იქ მოსჩანდნენ.

რისთვის დააფასა ორი საყმაწვილო ჟურნალის გამომცემელი ქალი და მასწ. ჩოგოვაძე ჩვენმა საზოგადოებამ? იმიტომ, რომ მათ ბედმა არგუნათ, საერო სასარგებლო საქმის სამსახური; მათ მოღვაწეობას ჩვენი ერის მომავალ თაობის სულსა და გულთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა, კავშირი ზნეობითა და გონებით ამაღლებისა; ისინი უნერგავდნენ მომავალ ახალგაზრდობას საღ იდეალებს; ისინი აწვდიდნენ მათ გონების ნორმალურად განსავითარებელ, შესაგნებ და ადვილად მოსანელებელ მასალას; მათი ენა ესმოდა დედასაც და შვილსაც...

ეს აშკარად დავინახეთ 26 თებერვალს ქუთაისის თეატრში და სცენაზე. 5—6 წლის ქალ-ვაჟნი სხაპა-სხუპით, მკვირცხლათ და შეგნებულათ ლექსებს ამბობდნენ. ტკბილად სამშობლო ხმებსა მღეროდა პატარა მოსწავლეთა გუნდი; დედები კი, სიხარულით აცრემლებულნი, თავიანთ პაწიებს ტაშის კვრით და „ვაშას“ ძახილით აჯილდოვებდნენ. აქ ცხადათ დავინახეთ გამარჯვება ეროვნულ პედაგოგიისა და ამ გამარჯვებას ქართულ გიმნაზიის მგალობელთა და მემუსიკეთა გუნდი გამარჯვების კილოთი „მრავალ ჟამიერს“ დამღეროდა. მე კი ჩემდა წილათ ზემოხსენებულს „გიხაროდენით“ მივულოცავ იმ ქართველ მოძღვართ, რომელთაც ასეთი ბედი და საერო მადლობა მოელის სიკვდილის დღეს და სიცოცხლის ჟამს.

ასეთი დამახასიათებელი გარემოება მისალოცავ ლექსებში კიდევაც აღენიშნათ პაწია ქალ-ვაჟებს, რომელნიც ანგელოზებივით ცქრიალობდნენ იუბილიარის სურათის წინ და თავიანთ ტკბილი ენით მერცხლის ბარტყებივით ჰიკჰიკებდნენ.

I

ბებიაცა ხარ, დედაცა
და ჩვენი სულის გზდია;
არ გიხარია, ძვირფასო?
ვიშ, რა ქალები დაგზდია!

—

სამშობლო გაგვიახლდება,
ახლები გვყავანან დედები,
„ჯეჯილს“ თავთავი დუსხამს
და არც შენ დაგვიბერდები!

—

შენს წმინდა ნათესს გავმარგლით
ჩვენ, შენი ქალიშვილები;
მაშ გაიხარე, მუშაკო,
მადლიერი გყავს შვილები!

II

ბიჭი ვარ ზემო ქართლელი,
ჯეჯილის მოყვარულია;
მოსალოცავად მოვსულვარ
და გულით მოხარულია.

—

დედა რომ ენახე „ჯეჯილის“,
ჩვენთვის მოთხრობის მწერალი,
აღტაცებაში მოვედი
ამ დიდი კრების მჭერალი!

—

ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა,
რომ გიწერია ამბები,
მუდამ დაგლოცვენ მუშაკს
ჩვენი დედები, მამები!

რამდენი ამისთანა და მრავალი უკეთესი მისალოცი ლექსი უთხრეს პაწიებმა იუბილიარს. ყველას აქ ვერ მოვიყვანთ.

რადგან ოღევანდელ ფელეტონს კეთილ მოძღვრების ამბავი ჰქონდა საგნად, აღარ მინდოდა მკითხველისათვის შთაბეჭდილება მომეშხამა, მაგრამ რა გაეწყობა... კარგად მოგეხსენებათ, რომ კარგი ცხადად ისე არ გამოჩნდება, თუ ავიც გვერდს არ ახლავს. და აი, ჩვენებურ მოძღვრობის ასპარეზზე თავის სიგრძესიგანით გაშლილია ავი, რომელსაც ადგილობრივი გაზეთები სამართლიან აღშფოთებით აღნიშნავენ და ქუთაისის ქართველობა, რომლის ყურამდეც ამ ამბავმა მიაღწია, ძალზედ აშლილი მოლოდინშია, დაისჯება თუ არა შესაფერად ის უგნური მოძღვარი, რომელმაც ქართულ ენას პირუტყვის ენა უწოდა. ეს გახლავთ ქუთაისის მართებლობის გიმნაზიის მასწავლებელი—ტომით სლავი. უნივერსიტეტში სწავლა მიუღია, თუ უსწავლებიათ, იგი წელს სამინისტროს გამოუგზავნია გერმანულის მასწავლებლად, ჩვენი ახალგაზრდობის მოძღვრათ.

ერთი მიბრძანეთ, რად ვარგა ასეთი მოძღვარი, რომელსაც მხოლოდ დიპლომი აქვს და ჭკუა და განათლება არ ახლავს. აქ სასაყვედურო

საზღვარზედ, რუსეთის ადმინისტრაცია პასპორტის გულისთვის ათასნაირად ავიწროებს მგზავრებს და ბევრს უკან აბრუნებენო.

ს პ ა რ ს ე თ ი

**თეირანი.** რუსეთის საელჩომ პროტესტი განაცხადა ხორასანში ასიფ-დოულეს დანიშვნის წინააღმდეგ. ასიფ-დოულე თეირანში დაბრუნდა.

**თეირანი.** გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს უთანხმოება მოუვიდათ. ამის გამო გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეებმა მუშაობაზედ უარი განაცხადეს. სამინისტროს გამგე ქალაქიდან გავიდა.

რ უ ს ე თ ი

**ვორონეჟი.** იწვის სადგურ კამენსკაიას ელევატორი. დაიწვა 60,000 ფუთი ხორბალი.

**ჟიტომირი.** კრემენცკის მაზრაში დაიწვა ლედოკოვის სასოფლო-სამეურნეო სკოლის შენობა. ზარალი დიდია.

**კავკაზი.** ნაზრანიდან იუწყებიან: შეტაკება მოუვიდათ სტანიც ყარაბულაკის ყაზახებს და სოფელ პლიევოს ინგუშებს. შეტაკების მიზეზი—საქონლის მოპარვააო.

# ჩვენი გაჭირვება და ინტელიგენციის უმოქმედობა

შეუგნებლობა რომ დედა-ბოძია ერის უკიდურეს მდგომარეობისა და გასაჭირისა, ამას ვგონებ, მტკიცება არ უნდა. ამ გვარ გასაჭირს განიცდის დღეს ჩვენი ერიც. იგი ჯერ კიდევ მოკლებულია ნამდვილ შეგნებას, უამისოდ კი დღევანდელ განსაცდელისაგან გამოყვანა შეუძლებელია.

ვინ უნდა უშველოს ერს, ვინ უნდა მისცეს ძალა და ვინ უნდა იხსნას იგი კარზე მომდგარ საფრთხისგან? პასუხი ერთია: ერისავე მოწინავე ნაწილმა მისმა ჭეშმარიტმა ინტელიგენციამ. ინტელიგენცია ერის შვილია და ამიტომ იგი მისი ფხიზელი დარაჯი და წინ წამწევი ძალა უნდა იყოს. ერი შობს და ასაზრდოვებს ინტელიგენციას, ეს უკანასკნელი-კი პატრონობასა და მფარველობას უნდა უწევდეს. ინტელიგენცია ზნეობრივად ვალდებულია შეიტანოს ხალხში თვითცნობიერება და შეგნება. ერისადმი სამსახური ჯან-საღ ინტელიგენციას ისევე სავალდებულოდ უნდა მიაჩნდეს, როგორც სამსახური თავის საკუთარ ოჯახისადმი.

ასეთია მოვალეობა ყოველ ერის ჯან-საღ ინტელიგენციისა. მაგრამ ჩვენში, სამწუხაროდ, სულ წინააღმდეგსა ვხედავთ. ჩვენი ერის ინტელიგენცია, მისი მოწინავე ნაწილი საშინელ უმოქმედობას მოუცავს და ამ თავის უმოქმედობას არსებული წესწყობილებით ამართლებს. დღევანდელ პირობებში მუშაობა შეუძლებელიაო. ის, რაც სხვა ერის მოწინავე ნაწილში გაასკეცებულ შრომასა და ზნეობას იწვევს, ჩვენი ერის ინტელიგენციისთვის უმოქმედობის გასამართლებელ საბუთად გადაქცეულა! თუ ეს არა, მაშ რა მიზეზია, რომ მაშინ, როცა ჩვენი ერი სულსა ჰლაფავს და თავის ინტელიგენციისაგან შველას მოითხოვს, ეს უკანასკნელი, მიშველების მაგივრად, ასე ანუგეშებს: ვერა გშველი, იმიტომ რომ არსებული პირობები ხელს არ მიწყობენო. განა ეს პასუხია?! განა გამოდგება ასეთი პასუხი უმოქმედობის გასამართლებლად? რა თქმა უნდა, არა.

ჩვენ სრულებით არ გვინდა იმისი თქმა, რომ დღევანდელი პირობები ხელს არ უშლიდნენ მუშაობას, უშლიან და ძალიანაც უშლიან, მაგრამ გულზე ხელის დაკრეფა, როგორც ჩვენშია, შეუწყნარებელია. ისტორია ადასტურებს, რომ რამდენადაც უფრო შეუვიწროებიათ ერი, იმდენად მის მოწინავე ნაწილს მეტი ფხა და გამჭრიახობა გამოუჩენია, მეტი შრომა და ძალა დაუხარჯავს განსაცდელისაგან თავის დასახსნელად და კიდევაც უხსნია. ჩვენ-კი ვსდუმვართ და „არსებულ პირობებით“ თავს ვიმართლებთ. მიუტევებელია ასეთი ყოფა მით უფრო იმიტომ, რომ ჩვენი ინტელიგენციის უმეტესობა უკვე ჰგრძნობს თავის ერის გასაჭირს, იმის დღევანდელ უკიდურეს მდგომარეობას, მაგრამ დაუდევრობისა და სიზარმაცისათვის თავი ვერ დაუღწევია. არსებულ პირობებით თავის მართლება კიდევ შეიძლებოდა, რომ ეს პირობები სრულიად სპობდნენ ჩვენში კულტურულ მუშაობას. მაგრამ იგივე ისტორია გვასწავლის, რომ მუშაობა, ამასთან ცხარე მუშაობა უკიდურესად შავბნელ დღეებშიაც ყოფილა. დიაღ, არსებული პირობები აფერხებენ ჩვენში კულტურულ მუშაობას, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვიმუშაოთ და ის, რაც ერთ თვეში შეიძლება გაკეთებულიყო, ერთ წელიწადს მაინც უნდა გავაკეთოთ.

ჩვენი ერის ჯანსაღმა ინტელიგენციამ, მისმა მოწინავე ნაწილმა დაუცხრომელ შრომით უნდა სძლიოს ყოველგვარ დაბრკოლებას და ხალხში შეგნება შეიტანოს. ასეთია მოვალეობა ამ ჯან-საღ ინტელიგენციისა. და თუ ჩვენი ერის ინტელიგენცია განძრახ გვერდს უვლის ამ მოვალეობას, ამისი მთავარი მიზეზი სიზარმაცე და დაუდევრობაა და არა არსებული პირობები.

**იმერი.**

# ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **პატრონების ქარხანა.** „კასპი“-ს სიტყვით, ბაქოში პოლიციას აღმოუჩენია რევოლვერების პატრონების საკეთებელი ქარხანა. პოლიციას წაუღია 600 პატრონა, გილზი და პატრონების საკეთებელი იარაღი. დაუპატიმრებიათ სპარსეთის ქვეშევრდომი იუსუფ-მემად-რზაოღლი, რომელსაც განუცხადებია, უსაქმოდ დავდიოდი, ამ დროს ვილაც ხეჩატური შემხვდა და წინადადება მომცა, მანქანებს მოგიტან, პატრონები გააკეთე და თითო პატრონას გაკეთებაში 60 კაპეიკს მოგცემო. ხეჩატურს უკვე 1400 პატრონა გავუკეთეო.

✦ **მაძებარი ძაღლები.** გუშინ, 4 მარტს, ვერაზე, ქალაქს გარედ პოლიციამ გამოსცადა საპოლიციო ძაღლები. პეტერბურგიდან ტფილისის პოლიციამ 300 მანეთად გამოიწერა სამი მაძებარი ძაღლი—„ლედი“, „ლაზი“ და „დიანა“. ერთი ვერსის სიშორეზე დამალეს ნივთები, მაგრამ ძაღლები ისე დაგეშილნი გამოდგნენ, რომ ნივთები იპოვნეს. ორი კაცი წავიდა ჩუმად დიდ მანძილზე და მიიმალა. ამათ ცხვირსახოცს დაასუნებინეს ძაღლებს და შემდეგ გაუშვეს მოსაძებნად. ძაღლებმა მსწრაფლ იპოვნეს დამალულნი ერთ სახლში.

✦ **საელექტრონო სადგური.** ტფ. ქალაქის გამგეობა საელექტრონო სადგურის აგების შესახებ მოხსენებას საბჭოს წარუდგენს ორშაბათს, 2 მარტს. როგორც ვიცით, გამგეობის პროექტით, ახლად აღებულ სესხიდან 500 ათასი მანეთი უნდა გადაიდოს საელექ. სადგურის ასაგებად ტფილისში.

✦ **მეხილეობის გამოფენა.** კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანმა სტ. ეირანოვმა დაამზადა მოხსენება წელს შემოდგომაზე მეხილეობის გამოფენის მოწყობის შესახებ.

✦ **ტყეების შესახებ.** 2 მარტიდან მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოში დაიწყო სპეციალისტების თათბირი სატყეო საქმის გაუმჯობესების შესახებ ჩვენში. 2—3 მარტს თათბირმა განიხილა სამი მოხსენება—ვინოგრადოვ-ნიკიტინისა, მ. ფიქენკოსა და ნალშევსკისა. დაადგინეს, კავკასიის სხვა და სხვა რაიონში დაარსდეს სატყეო სადგურები. ამიერკავკასიაში არსებობს ესრედ წოდებული სატყეო გადასახადი და აქედან შემოსული ფული ამ ჟამად უდრის 120,000 მან. დაადგინეს, თუ მთავრობა განახორციელებს აზრს სადგურების დაარსების შესახებ, საჭირო ფული ამ თანხიდან უნდა გადაიდოს.

✦ **სესხის განაღდება.** მოხდა ტფ. ქალაქის გამგეობის სხდომა მეოთხე საობლიგაციო სესხის შესახებ მოსალაპარაკებლად ბელგიის ბანკის წარმომადგენელთან. წარმომადგენელმა გამგეობას წარუდგინა განაღდების პირობები. როგორც გამოირკვა, ქალაქისათვის ხელსაყრელია ეს პირობები. საბოლოოდ გამგეობას საქმე ვერ გადაუწყვეტია, სხვა კაპიტალისტებთანაც აქვს მოლაპარაკება. პეტერბურგიდან კვლავ მოვიდა დეპეშები თავ. არგუთინსკისაგან, გუშინ გამგეობამ მიიწვია სხდომაზე საბჭოს საფინანსო კომისია.

✦ **ადგილები ქსანზე.** ამ 3—4 წლის წინად ქსანზე საუფლისწულო უწყებისაგან ადგილები შეიძინეს ტფილისელმა მოხელეებმა, ხელოსნებმა და ახლო-მახლო სოფლების უსახლ-კარო გლეხებმა. ადგილი მწირია და გადამწვარი უწყლობით. დიდი ხნის დაპირების შემდეგ, საუფლისწულო უწყებას ეხლა ამ ადგილებში წყალი გამოჰყავს და მოაგარაკენიც შეუდგნენ სახლების აშენებას (უკვე 15-დის სახლი ააგეს) და ბაღ-ბოსტნების გაშენებას.

✦ **ქალაქი არმავირი.** როგორც ვწერდით, შუამდგომლობა აღძრეს, რომ არმავირი ქალაქად გადაკეთდეს. რუსეთის გაზეთებს როსტოვიდან დეპეშით ატყობინებენ: როსტოვიდან ხელმწიფე-იმპერატორს თხოვნა მიართვეს, არმავირის ქალაქად გადაკეთება საზარალოა და ნუ დაამტკიცებთ შუამდგომლობასო.

✦ **დიდუბის სამკითხველო.** წერა-კითხვის საზოგადოების დიდუბის ბიბლიოთეკა-სამკითხველოთი დაარსებიდან (8 თებერვლიდან) უსარგებლნია 596 კაცს. ამავე ხნის განმავლობაში საკითხავად გაუტანიათ 132 წიგნი: 70 ქართული, 54 რუსული და 8 სომხური. სულ გამოწერილია 14 ჟურნალ-გაზეთი, 8 რუსული და 6 ქართული.

✦ **საბაღოსნო სკოლის მზრუნველი.** მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა უკვე დაამტკიცა ტფ. საბაღოსნო სკოლის მზრუნველად ტფ. ქალაქის გამგეობის წევრი თავ. ნ. ე. არგუთინსკი. კავკ. სამეურნეო საზოგადოებამ ეს ამბავი გუშინ აცნობა თავ. არგუთინსკის და სთხოვა, შეუდგეს თანამდებობის ასრულებას.

✦ **ტრამვაის ბილეთების სასანიტარო მზრუნველებისათვის.** ტრამვაის დირექციამ თანხმობა განაცხადა გაუგზავნოს ქალაქის თვითმართველობას 13 წლიური ბილეთი. თითო 25 მანეთად სასანიტარო მზრუნველებისათვის.

✦ ტფ. პოლიცმეისტერმა პოლიციის მოხელეებს დაავალა, ქალაქის უბნის ნაწილში დაათვალიერონ ძველი სახლები და საშიშო სახლების შესამოწმებლად მიიწვიონ ტეხნიკოსები.

✦ 3 მარტს ქალაქში შემდეგი ამბები მოხდა: ნიკოლოზის ქუჩაზე მცხოვრებს თამარ ივანოვას სახლიდან ქურდს მოუპარავს 101 მანეთის ტანისამოსი და ნივთები. ეჭვით დააპატიმრეს ოსიფ ყაზაროვი. შუა ბაზარში დააპატიმრეს ცხინვალის მცხოვრები დავით ათანელოვი, რომელიც სამხედრო ბეგარას გაჰქცევია. გროზნის ქუჩაზე მცხოვრებმა ანნა მაჭავარიანმა პოლიციას განუცხადა, ჩემი სახლის სახურავში ვიღაცა შეიპარა, ნავთი დაასხა და ცეცხლი მოუკიდა. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და ჩააქრეს. ჩხრეკის დროს მე-10 ნაწილში დააპატიმრეს—6. მე-11 ნაწილში—4 უპასპორტო კაცი.

✦ ტფ. გუბერნატორის გადაწყვეტილებით 50 მან. დაჯარიმებულ იქმნა ტფ. მაზრის სოფელ პრიუტის მცხოვრები არტემ დავიდოვი მაგარ სასმელებით ვაჭრობისათვის (აღკრძალული ჰქონია) თუ ფულს ვერ გადაიხდის, ორი კვირით დააპატიმრებენ.

# მოწერილი ამბავი

**ს. საგარეჯო** (ივრის ხეობა). როგორც ქვევით დავინახავთ, დიდი ხნის სურვილი უსრულდებათ გარეჯელ. გიორგიწმინდელ და ნინოწმინდელ გლეხებს. ცოტა ხნის შემდეგ ს. საგარეჯოში უნდა დაარსდეს საკრედიტო ამხანაგობა, რომლითაც შეძლება მიეცემათ სამსავე სოფელს ისარგებლონ გაჭირვების დროს ამ სიმპატიურ დაწესებულებით. 7 თებერვალს საგარეჯოში მოვიდა წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ-ნი დავიდოვი და მოიწვია ის პირნი, რომელთაც წარსულ ზაფხულს სურვილი განაცხადეს, ამხანაგობის წევრობისა. კრებას დაესწრნენ აგრეთვე გარეშე პირნიც. სანამ კრებას გახსნიდა, ბ-ნმა დავიდოვმა სთქვა: „როგორც ვხედავ, უმჯობესი იქნება ნალაპარაკევის ქართულ ენაზე გადათარგმნა, რადგან მე ქართული ხეირიანად არ ვიცი, ვთხოვ თარჯიმანობა იკისროს ვინმემაო“. თარჯიმანობა იკისრა მღ. სიმონ რცხილაძემ და კრება გაიხსნა. ბ-ნმა დავიდოვმა მიმართა გლეხებს შემდეგის სიტყვებით: „თქვენ მიწათ-მოქმედებას მისდევთ, ბევრს შრომობთ და ცოტა ნაყოფს ჰხედავთ; ეს იმით აიხსნება, რომ თქვენ გაუმჯობესებული იარაღი და ცოდნა არა გაქვთ; რასაც ჰქმნით თქვენის შრომით, ადამის დროის იარაღის საშუალებით, იმის ნახევარს ჩალის ფასად უგდებთ ხელში შემოდგომაზედვე ჩარჩებს და მოგახშეთ, რადგან გადასახადებისათვის „სბორშჩიკი“ სწორედ ამ დროს მოადგებათ ხოლმე კარზე; მაშინ კი თქვენ ფულზე მწყრალადა ხართ და იძულებული ხდებით აიღოთ ვალი მევახშეთაგან, თუმანი 30 კაპ.—40 კ. თვეში, ან ჩალის ფასად ჩაუგდოთ ხელში ჩარჩ-ვაჭრებს თქვენი ნაწარმოები. ხსნის ერთად-ერთ საშუალებად უნდა ჩაითვალოს წვრილი კრედიტის მოწყობაო“.

შემდეგ დავიდოვმა ვრცლად განუმარტა გლეხებს წვრილი კრედიტის მიზანი და სარგებლობა. მან მოიყვანა მაგალითები თუ ზოგან რუსეთში, როგორ გადიდდა წვრილი კრედიტის თანხები და მოგება.

დავიდოვის სიტყვით, სახელმწიფო ბანკი 6000 მანეთს ასესხებს საგარეჯოს ამხანაგობას ექვს პროცენტად თუმანს, ამხანაგობა კი გასცემს 10%. ექვსი ათას მანეთიდან 2000 მანეთი ძირითად თანხად ჩაითვლება.

ერთმა გლეხმა კრებაზე მოახსენა ბ-ნ დავიდოვს: ჩვენ საგარეჯოში ბანკი გვქონდა, მაგრამ მეთაურებმა ფული გაფლანგეს და ჩვენ კი პირში ჩალაგამოვლებულნი დავრჩით. ეხლა ჩვენ გვშიშობთ, ვაი თუ ისეთივე ამბავი განმეორდესო“. დავიდოვი არწმუნებდა გლეხებს: ფულის გაფლანგვის შიში ნუ გაქვთ, რადგან სინდისიერ კაცებს მიანდევთ საქმის წარმოებას. საქმის მწარმოებლებს ექნებათ შესავალ-გასავლის წიგნები, სადაც ყოველდღე უნდა ჩაიწერონ ხოლმე ანგარიშები, ყოველ თვეს დამდეგს აგრეთვე მათ ანგარიში უნდა ჩააბარონ სარევიზიო კომისიის წევრებს. კასირისა და საქმის-მწარმოებლის ოთახში იქნება რკინის ყუთი. ამ ყუთს ორი გასაღები ექნება. ეს გასაღები ექნება კასირს და საქმის მწარმოებელს, თუ ერთმა მათგანმა მოინდომა ფულის გაფლანგვა, მეორე უნდა დაეთანხმოს, კასირის ხელში ან კი ფულს ვინ გააჩერებს. როდესაც ერთს მოაქვს წაღებული ვალი ან შესანახი ფული, ათი სხვა გლეხი იქვე უცდის ფულის მიღებას. ასე, რომ შიში ფულის გაფლანგვისა უსაფუძვლოაო, სთქვა დავიდოვმა.

იქვე ი. ქურდოვანიძე შეეკითხა დავიდოვს: „შეიძლება, ბატონო ამხანაგობის წევრმა გამოიტანოს ფული ბანკიდან თუმანი ორ შაურად თვეში და აბაზად გაასესხოს სხვა გაჭირვებულ კაცზე, რომელსაც ამხანაგობა არ ენდობა ფულს; ან კიდევ შეიძლება მოხდეს, რომ წევრებმა ფული წაიღონ ბანკიდან და აღარ გადიხადონ. როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაშიო“. ბ-ნმა დავიდოვმა ასე უპასუხა: „ცხოვრებაში არაფერი დაიმალება. გავიგებთ თუ არა, რომ ვინმე ბანკიდან გაიტანს ფულს და სხვაზე გაასესხებს, დაუყოვნებლივ დავიბარებთ და ვეტყვით: ამ საათშივე წაღებული ფული დაგვიბრუნე, თორემ საამხანაგო სამართალში მიგცემთ წესდების მუხლის დარღვევისათვის; მეორე შემთხვევაში კი პოლიციის საშუალებით გადავახდევინებთ ფულსაო.

თათბირის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა, გაიხსნას ს. საგარეჯოში საკრედიტო ამხანაგობა. განსაზღვრეს მოქმედების რაიონი: საგარეჯოს გარდა ორ სოფელს შეუძლიან ამხანაგობაში მონაწილეობის მიღება—გიორგი-წმინდას, და ნინოწმინდას. დავიდოვმა აღუთქვა წევრებს, მაისში ჩამოვალ და გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებს ავირჩევთ და მოქმედებას შევუდგებითო. კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა ინსპექტორს და შუადღის თორმეტ საათზე დაიშალა.

**ლორეშელი კაცი.**

# ქუთაისის ამ-ბავი

**თავად-აზნაურთა კრება.**

28 თებერვალი და 1 მარტი.

ეს ორი კრება მოუნდა არჩევნებს, რომელიც 1 მარტს ნაშუაღამევის 1 საათზე გათავდა. კანონით თ.-აზნაურთა კრებას ხურავს გუბერნატორი, რომელსაც კრების გათავებისათანავე სთხოვეს მისვლა, მაგრამ მან უარი განაცხადა ავადმყოფობისა გამო. თ.-აზნაურნი მეორე დღის 11 საათისათვის მიიწვიეს, რათა მოესმინათ გუბერნატორის განცხადება, რომ კრებამ საქმეები დაამთავრა და დახურაო.

უმთავრესი ყურადღება არჩევნების დროს გუბერნიის წინამძღოლის არჩევამ მიიპყრო. წინდაწინვე თქმა იმისი, თუ ვინ იქნებოდა არჩეული, ძნელი იყო, რადგან ერთის მხრით სარევიზიო კომისიის მოხსენებამ, მეორეს მხრით აღშიბაია-ნიჟარაძის ინციდენტის გადაფუჩეჩებამ სულ არივ-დარია საქმე. ეგონათ, რომ ყველა ეს შესცვლიდა არჩევნების შედეგს, მაგრამ განა ქუთათური ამომრჩეველი თავის თავს ულალატებს და ასეთ „უმნიშვნელო“ გარემოებას მხედველობაში მიიღებს? იგი ისმენს ყველაფერს, რაც კრებაზე ხდება, მაგრამ ამავე დროს კენჭს თავის, წინდაწინვე გათვალისწინებულ, მიმართულებას აძლევს.

კანონი მოითხოვს, რომ პირველად ყუთი დაედგას ვადა გასულ წინამძღოლს და მერე სხვა კანდიდატებს. ასეც მოხდა. თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა თავ. დ. ნიჟარაძემ, და შეუდგნენ კენჭის ყრას, რომელმაც 2 საათს გასტანა. დასათვლეს: თეთრი აღმოჩნდა 114, შავი—87. არჩეულის მომხრენი ალტაცებას მიეცნენ. სცენაზე ახლა ადგილი დაიჭირა თავ. ს. დ. წერეთელმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა კრებას ნდობისა გამოცხადებისათვის და მასთან შეეკითხა მეორე კანდიდატის შესახებ.

უსტინოვიჩი კი არ არის, რადგან უთუოდ უგნური უნდა იყოს, არამედ მისი მომავლინებელი და ის ინსტრუქცია, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს „ინოროდცების“ სასწავლებელში.

რით აიხსნება, რომ პატარა ინგლისს 300,000,000 მილიონი ინდოელი ჰყავს ერთგულ ქვეშევრდომად? იმით, რომ ინგლისის მთავრობას პოლიტიკური სიბრძნე შესწევს. იგი ინდოეთში მოხელეებს ახირებულად როდი ჰგზავნის: ინდოეთში გასაგზავნ მოხელემ, რა გინდ ასპარეზზედაც უნდა იყოს, უთუოდ ყოველგვარი ეგზამენი უნდა აიღოს და ყოველგვარი გამოცდის დარაჯში უნდა გაიაროს. სპეციალურად უნდა შეისწავლოს ის დარგი საზოგადო სამსახურისა და თანამდებობისა, რომელსაც მას დააკისრებენ. გარდა სპეციალურ და პროფესიანულ ცოდნისა, ასეთი პირი უნდა იყოს გამოჩენილი გონების და ზნეობის სიმწიფით.

ჩვენში კი პეტერბურგიდან და მოსკოვიდან, ჩინოვნიკებზე ნურას ვიტყვით, ისეთი პედაგოგები მოუგვიდის, (ჰკუამ შენი პირი წაიღოს), რომელთაც თავიანთი სასწავლო საგნისაც არა გაეგებათ რა, პედაგოგიის ისტორიაში არ ჩაუხედნიათ, არც ერთ თავის სამშობლო პედაგოგებს არ იცნობენ; არ წაუკითხავთ მათი სახელმძღვანელო აზრები, არ გასცნობიან მათ მიერ წამოყენებულ საღსა და სავალდებულო პრინციპებს.

თორემ ის მასწავლებელი, რომელსაც რუსის პედაგოგთა მამათ მთავარის უშინსკის აზრი სამშობლო ენის მნიშვნელობის შესახებ წაუკითხავს, ის მასწავლებელი როგორ იტყოდა, თუნდ ზულუსებში, ყოფილიყო იმას, რაც ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ბ-ნმა ვუსტინოვიჩმა.

მე საჭიროდ მიმაჩნია ეს აზრი სავსებით მოვიყვანო ამ ფელეტონში ვუსტინოვიჩის მსგავს მასწავლებელთა და იმ მშობელთა საგულისხმოთ, რომელთაც სამშობლო ენა აბუჩად მიაჩნიათ.

„ხალხის ენის ნათელსა და გამჭვირვალე სიღრმეში მოსჩანს არა მარტო დედა-ქვეყნის ბუნება, არამედ სრული ისტორია ხალხის სულიერ ცხოვრებისა. ჩამომავლობა მისდევს ჩამომავლობას, მაგრამ ყოველ მათგანის ცხოვრების ნაყოფი გამოიხატება ენაში შემდეგ თაობათა სამკვიდროდ. ჩამომავლობა ჩამომავლობაზე აგროვებს დედა-ენის სალაროში ღრმა გრძნობათა ნაყოფს, ნაყოფს ისტორიულ მოვლენათა, მათ სარწმუნოებას, გამომხატველობას; სტოვებს კვალს გამოვლილ მწუხარებისა და სიხარულისას,—ერთი სიტყვით, თავის სულიერ ცხოვრების ნაყოფს ერი მოწიწებით ინახავს დედა-ენაში. ენა არის ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც ერთობის სულს უდგამს ყოფილს, აწმყოს და მომავალს თაობას ერისას. ის, არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია, — ის არის თვით სიცოცხლე. როცა ხალხის ენა ჰქრება,—ჰქრება ხალხიც. ვიდრე ენა ცოცხილია და ხალხი იმაზე ლაპარაკობს,—ხალხიც ცოცხალია; და ამისთანა აუტანელი ძალადობა არა იქმნება რა, რომ წაართვა ხალხს სამკვიდრო, შექმნილი და დატოვებული აურაცხელ უწინდელ თაობათაგან. წაართვით ხალხს ყოველისფერი—და ის ყოველისფერის დაბრუნებას შეიძლებს; მაგრამ, თუ ენა წაართვით,—ის თავის დღეში ვეღარ შექმნის მას; ახალ სამშობლოს კიდევ შექმნის ხალხი, მაგრამ ენას კი ვეღარ! მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც! და თუ კაცს აძრწუნებს ერთი ადამიანის მოკვლა, რომელსაც უიმისოთაც დიდი დღე არა აქვს,—რა უნდა ვიგრძნოთ მაშინ, როდესაც უპირებთ მოკვლას მრავალ საუკუნე გამოვლილს და ისტორიულ პირს—ხალხს, ამ დიდებულს ქმნილებას!*) ენა არის სული და სარწმუნო მატიანე ხალხის სულიერ და მრავალ-საუკუნე განვლილ ცხოვრებისა და იგივეა უდიდესი ხალხის მოძღვარი. ბავშვი ითვისებს დედა-ენას და მასთან ერთად ითვისებს აზრსა და გრძნობის ნაყოფს ასისა და ათასის განვლილ თაობისას, რომელნიც, დიდი ხანია, რაც განხრწნილან დედა მიწაში. ბავშვი აკვირდება ქვეყნიერებას და ყოველივე ნახული, ნაცადი, ნაგრძნობი და ნაფიქრი იმ აურაცხელ ჩამომავლობათა გარდაეცემა მას ადვილად, უშრომლად, და, როცა სწავლობს იგი დედაენას, შედის ცხოვრებაში უძლეველის ძალით შეჭურვილი. ბავშვი არა სწავლობს დედა-ენას, როგორც უბრალო ნიშნებს და სიტყვებს,—ის სწოვს სულიერ ცხოვრებას დედა-ენის მკვებავ ძუძუდან; იგი უმარტებს მას ბუნებას ისე, როგორც ვერც ერთი ბუნების მეცნიერი ვერ განუმარტებდა, იგი აცნობებს მას ადამიანთ ხასიათს, ხალხსა, საზოგადოებას, მისს ისტორიას, მის მისწრაფებას ისე როგორც ვერც ერთი ისტორიკოსი, ვერ გააცნობდა. იგი უხსნის მას ხალხის რწმენას და მის პოეზიას ისე, როგორც ვერც ერთი ესტეტიკოსი ვერ აუხსნიდა; იგი ისეთ ნათელსა ჰფენს მისს მსჯელობასა და ფილოსოფიურ შეხედულებას, როგორსაც ვერც ერთი ფილოსოფოსი ვერ მოჰფენდა“.

ამას განმარტება აღარ ეჭირვება.

**ნაცნობი.**

კანდიდატებად დაასახელეს: წინად გუბერნიის წინამძღოლად ნამყოფი თავ. ს. გ. წერეთელი და თავ. დ. ო. ნიჟარაძე. პირველმა მცირე ყოყმანის შემდეგ უარი განაცხადა, ხოლო როცა მეორეზე მიდგა ჯერი, მან სთქვა: არავითარი სურვილი არა მაქვს კენჭის ყრისა, თუმცა კანონი-კი მოითხოვს, რომ კანდიდატი ორზე ნაკლები არ იყოსო. მცირე კამათის შემდეგ თავ. ნიჟარაძემ დაიდგა ყუთი. ყველა დიდის ინტერესით მოელოდა შედეგს. შეუდგნენ კენჭის თვლასაც. თეთრი აღმოჩნდა 131, ჩვიდმეტით იმაზე მეტი, რაც თავ. წერეთელს ამოუვიდა, და შავი—70. თ-დი ნიჟარაძე კვლავ გამოჩნდა სცენაზე და, მადლობის გადახდის შემდეგ, აღუთქვა, წინანდელ თავ-გამოდებით ვემსახურები საზოგადოებას, გუბერნიის წინამძღოლად ვიქნები დამტკიცებული თუ მაზრისაო.

მდივნად დიდის ხმის უმეტესობით (185—15) აირჩიეს დ. ბ. მდივანი, ხოლო იმის კანდიდატად ი. პ. მაჭავარიანი (187—13).

უფრო საგულისხმიერო აღმოჩნდა ბანკის რწმუნებულთა არჩევნები ქუთაისის მაზრაში. აქ თავი იჩინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ინტელიგენტოფობიამ“. გარდა თითო ოროლა ინტელიგენტისა, ყველა გაშავდა და იმათ ადგილას აირჩიეს კაცები, რომელნიც ყოველ უარის უთქმელად შეასრულებენ ამ მაზრაში გამეფებულ პარტიის ბრძანებას. გაშავდა დავით კლდიაშვილი, ექიმი გრიგოლ ქორქაშვილი, ექიმი მიხეილ ლორთქიფანიძე, ყოფილი დირექტორი ქიათურის ბანკისა იაკობ ლორთქიფანიძე. ასეთმა შედეგმა არჩევნებისამ დიდი მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში.

შორაპნის მაზრის რწმუნებულთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, წერეთლის გვარის წარმომადგენელნი სჭარბობენ: 20 კაცში 12 წერეთელია; კაცს ეგონება, თავ. წერეთლები დაბადებითვე ფინანსისტები არიანო. სამაგიეროდ ისეთი გამოცდილი კაცი, როგორიც არის იოსებ გუნცაძე, რომელიც ერთ დროს საურთიერთო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედაკ იყო და ეხლა საკრედიტო ამხანაგობას ხელმძღვანელობს, რწმუნებულთა შორის ვერ მოჰყვა, რადგან სხვებმა მეტი თეთრი კენჭი მიიღეს, ვიდრე მან.

აი მთელი შედეგი არჩევნებისა. არჩეულ იქმნენ:

ქუთაისის მაზრაში:

წინამძღოლად; დავით ოტიას ძე ნიჟარაძე (63 თ. 9 შ.). ვ. ა. ქუთათელაძე (42 თ. 29 შ.); თანაშემწედ: ისმაილ მესხი (55 თ. 15 შ.), ა. გ. ლორთქიფანიძე (53 თ. 17 შ.); დეპუტატებად: ივანე ნიჟარაძე (44 თ. 23 შ.), თავ. იასონ ნიჟარაძე (41 თ. 29 შ.); რწმუნებულად ბანკში: დავით ოტ. ნიჟარაძე (63 თ, 3 შ.), მიხეილ ჩხეიძე (61—8.), თ-დ. ლევან მიქელაძე (68—2), მიხეილ ქავთარაძე (51—19), თ-დ. ფარსადან მიქელაძე (63—7), თენგიზ ერისთავი (55—15), თ-დ თეიმურაზ აგიაშვილი (62—8), თ-დ ნიკოლოზ ჩხეიძე (60—11), თ-დ კოწია აგიაშვილი (58—13), ილარიონ ბერიძე (44—26), თ-დ გიორ. წულუკიძე (56-12), თ-დ აკაკი ნიჟარაძე (53—17), თ-დ გიგო ერისთავი (59—11), კირილე ლორთქიფანიძე (60—10), თ-დ დავით მიქელაძე (70—3), თ-დ დავით ჩხეიძე (60—10), თ-დ პავლე თუმანიშვილი (57—13), თ-დ ალექსანდრე ლორთქიფანიძე (61—8), თ-დ სანდრო ლორთქიფანიძე (62—8), თ-დ ივანე ნიჟარაძე (59—11), ალექსანდრე ერისთავი (57—13), დავით ხელთუფლიშვილი (59—5).

ოზურგეთის მაზრაში:

თ-დ-აზნაურთა წინამძღოლად: თ-დ კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი (22—0), ბ. სიო ბერიძე (15—7), თანაშემწედ: თ-დ ვახტანგ გურიელი (21), თ-დ ალექსანდრე ერისთავი (22); დეპუტატებად: ბ. ერმილე ხუნდაძე (18—4), ბ. თაყაიშვილი (16—6); რწმუნებულად ბანკში: კონსტან. დავ. ერისთავი, თ-დ ჯაბა გურიელი, თ-დ ვარლამ ერისთავი, თ-დ ისიხი ნაკაშიძე, თ-დ ტელემაკ გურიელი, თ-დ ჯაბა ერისთავი, გრიგოლ ჯაყელი, ბ. თაყაიშვილი, სილოვან ხუნდაძე, თ-დ თომა ერისთავი, ბ. ვარლამ ჭილაძე, თ-დ ბ. ნაკაშიძე, თ-დ დ. ერისთავი, თ-დ ნიკო თავდგირიძე, ბ. თ. ართმელაძე, ბ. ე. თაყაიშვილი.

შორაპნის მაზრაში:

თავად-დ-აზნაურთა წინამძღოლად: თ-დ ალექსანდრე წერეთელი (37 თ.), გ. ს. წერეთელი (25—7); თანაშემწედ: არჩილ ელიზბარის ძე მაჭავარიანი (38 თ.), თ-დ ა. წერეთელი (20—18); დეპუტატად: ზაქარია მაჭავარიანი (37—1), თ-დ პეტრე აბაშიძე (32—6); რწმუნებულად ბანკში; თ-დ ალ. წერეთელი (34—2), თავად ს. დ. წერეთელი (34—1), თ-დ ს. გ. წერეთელი (30—4), თ-დ ბეჟან წერეთელი (36), თ-დ ამირ. წერეთელი (35—2), თ-დ ირაკლი წერეთელი (36), თ-დ კიტა აბაშიძე (28—3), თ-დ გრიგოლ აბაშიძე (30—5), თ-დ ალ. წერეთელი (35—2), თ-დ ფრიდ. წერეთელი (36), თ-დ პეტრე აბაშიძე (29—7), ალ. აბაშიძე (26—10), თ-დ დავ. წერეთელი (31—5), ზაქარია მაჭავარიანი (31—5), თ-დ სამსონ წერეთელი (31—5), ვასილ წერეთელი (24—12), დავით ქლენტი (29—7), თ-დ არჩილ წერეთელი (28—8), თ-დ მიხეილ წერეთელი (29—6), ალექსი ჯაფარიძე (24—9).

სენაკის მაზრაში:

თ-დ-აზნ. წინამძღოლად: თ-დ. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დადიანი (16—1), თ-დ. ბონდო მიქელაძე (13—3), თანაშემწე: თ-დ. ივ. ელიზბ. დადიანი (14—2), თ-დ. ნიკ. დგებუაძე (12—4); დეპუტატად: ირაკლი თოფურიძე (12—4), მიხეილ კორძაია (10—8); რწმუნებულად: თ-დ. ბეს. მხეიძე (16 თ.), თ-დ. ივანე დადიანი (12—4), თ-დ. ბონდო მიქელაძე (15—1), თ-დ. ნ. ნ. დადიანი (16—1), თ-დ. გ. ჩიჩუა (15—1), ირაკლი თოფურიძე (13—3), თ-დ. ვლად. დადიანი (18 თ.), თ-დ. ნიკ. ქოჩაკიძე (10—7), თ-დ გუდუ დადიანი (16—თ.), თ-დ ბუკ. მიქელაძე (15—1), ნესტორ ლორთქიფანიძე (15—1), თ-დ ნიკ. დგებუაძე (16 თ.), მიხეილ კორძაია (16—2), გიგო დადია (15—3), კოსტ. თოფურია (13—5), ირაკლი კიზირია (11—7).

ზუგდიდის მაზრაში:

თ-დ.-აზნ. წინამძღოლად: თ-დ გრიგ. კოსტ. დადიანი (14 თ.), დიმიტრი ქვანია (10—4); თანაშემწედ: მიხ. ჩიჩუა (14 თ.), მიხ. კარტოზია (10—4); დეპუტატებად: თ-დ ბეგლარ დადიანი (14 თ.), თ-დ იასონ აფაქიძე (13—1); რწმუნებულებად: თ-დ გრიგ. კოსტ. დადიანი (16 თ.), თ-დ ნიკ. დადიანი (16 თ.), თ-დ მიხ. ჩიჩუა (16 თ.). თ-დ ბეგლ. დადიანი (16 თ.), ვლადიმერ ალშიბაია (16 თ.), თ-დ ანტონ აფაქიძე (16 თ.), თ-დ პლატონ აფაქიძე (16 თ.), თ-დ იასონ აფაქიძე (14—1), გიორგი გვათუა (16 თ.), თ-დ ნიკო ჩიჩუა (16 თ.), მიხეილ ლოლუა (16 თ.), თ-დ გიორგი ჩხეიძე (16 თ.), თ-დ კოსტ. ჩიჩუა (16 თ.), დიმიტრი ქვანია (14—1), მიხეილ კარტოზია (16 თ.).

რაჭის მაზრაში:

თ-დ.-აზნ. წინამძღოლად: დავით ილარიონის ძე ჯაფარიძე (17 თ.), სიმონ გ. ჯაფარიძე (16—3); დეპუტატად: თ-დ იასონ წულუკიძე (28 თ.), კოსტ. ჯაფარიძე (22—7); რწმუნებულად: დავით ჯაფარიძე, კოსტ. რამ. გოცირიძე, ვარლამ გოცირიძე, ქაიხოსრო ჯაფარიძე, ივანე ჯაფარიძე, იასონ ბაქრაძე, ნიკოლოზ ჩიკვაიძე, სეფე მხეიძე, თ-დ პლატონ წულუკიძე თ-დ იასონ წულუკიძე.

ლეჩხუმის მაზრაში:

თ-დ.-აზნ. წინამძღოლად: თ-დ იასონ გელოვანი (15 თ.), თ-დ გრამიტონ გელოვანი (11—4); თანაშემწედ: თ-დ ალ. დადიშკელიანი (15—1), თ-დ ვ. გარდაფხაძე (10—7); დეპუტატებად: თ-დ ერმალო გელოვანი (17), თ-დ ვ. გელოვანი (15—2); რწმუნებულად: თ-დ იასონ გელოვანი (17), თ-დ ოთარ დადიშკელიანი (17), თ-დ ერმალო გელოვანი (17), თ-დ ანდრ. გელოვანი (17), ბ. კორნელი ახვლედიანი (17), ნიკოლოზ ჩარკვიანი (16—1), თ-დ გრამიტონ გელოვანი (17), თ-დ ნიკოლოზ გელოვანი (17), თ-დ კარაბ გარდაფხაძე (17), თ-დ მიხეილ გელოვანი (17).

# შორეულ აღმოსავლეთი

**თავად იტოს მკვლელის პროცესი.**

26 წარსულ იანვრიდან 1 თებერვლამდე პორტ-არტურში ირჩეოდა საქმე კორეელ ანგაის, რომელმაც წარსულ ოქტომბერში თავადი იტო მოჰკლა ხარბინში, და სამის მისი ამხანაგისა. როგორც დეპეშამ უკვე გვაცნობა, იაპონიის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა ანგაის, ხოლო მის ამხანაგებს სამის წლით კატორგა. რუსული გაზ. „ნოვი კრაი“ დაწვრილებით აწერს ამ პროცესს.

სასამართლოს დარბაზში უბილეთოდ არავის უშვებდნენ, თან მიმსვლელებს ყველასა სჩხრეკდნენ, რომ იარაღი არავის მიეტანა თანა. თვით უმაღლეს მოხელეებსაც მოსთხოვეს შპაგების დატოვება სასამართლოს დერეფანში. ეშინოდათ, რომ იაპონელებს თავიანთ საკუთარის ხელით არ გადაეჭრათ სამართალი მკვლელისთვის.

როდესაც ბრალდებულნი სხდომის დარბაზში შეიყვანეს, იქ მყოფმა კორეელებმა დემონსტრაცია მოახდინეს: დიდის პატივისცემით წამოდგნენ ზეზე. ბრალდებულებს დამცველებად მიწვეულები ჰყავდათ რუსის ვექილი მიხაილოვი ვლადივოსტოკიდან და ინგლისელი ვექილი დუგლასი შანხაიდან. მაგრამ თავმჯდომარემ იაპონიის კანონის ძალით არ მისცა მათ, როგორადაც უცხოელებს, უფლება სასამართლოში ლაპარაკისა. ასე რომ ბრალდებულებს მხოლოდ სასამართლოს მიერვე დანიშნული არი იაპონელი ვექილი და იცავდა.

მკვლელმა არ იცნა თავისი თავი დამნაშავედ. მან გაბედულად სთქვა: „მართალია იტო შეგნებულად, განზრახ მოვკალი, მაგრამ ეს საქმე ჩავიდინე ჩემი სამშობლოსათვის, რომელიც იტომ დაამონავა და მთლად გააუბედურა და არა პირად ჯავრის ამოსაყრელად“, ანგაიმ დაატანა, რომ იაპონიის სასამართლოს უფლება არა აქვს ამ საქმის გარჩევისა, რადგან ეს მკვლელობა მოხდა ხარბინში და არა იაპონიის სამფლობელოშიო.

საქმის გარჩევის დროს ყველას აოცებდა გმირული სიდინჯე როგორც თითონ ბრალდებულისა, ისე მის მოხუც დედისა და ორის ძმისა, რომლებიც სასამართლოში იმყოფებოდნენ. განაჩენის გამოცხადების შემდეგ ბრალდებულებს აუხსნეს, რომ ამ განაჩენის განსაჩივრება შეგიძლიანთო. საპატიმროში ძმებმა გადასცეს ანგაის დედის სურვილი: „დაე, ნურავის ნურასა სთხოვს და სახელოვნად მოკვდეს. ვუგზავნი ჩემს ლოცვა-კურთხევას.“ ანგაიმ, მოისმინა რა დედის შემონათვალი, დინჯად სთქვა: „ფიქრადაც არ მომსვლია პატივების თხოვნა. გულდამშვიდებით ვკვდები სამშობლოს გულისთვის, ვუსურვებ უოველ სიკეთეს“.

# რუსეთი

**ახალი სამინისტრო.** „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: პეტერბურგში ხმა დადის, რომ ამ მოკლე ხანში სტოლიპინის სამინისტროს დაითხოვენო. სამინისტროს გადაყენებას თხოულობენ და ელტვიან გრაფი ვიტტე, თავად ვასილჩიკოვი და გრაფინია ვასილჩიკოვისა. ამბობენ, რომ ახალ სამინისტროში მიიწვევენ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოვს და მ. ი. გუჩკოვს.

**იუსტიციის მინისტრი.** იუსტიციის მინისტრის ამხანაგის ვერიოვკინის სიტყვით იუსტიციის მინისტრს შჩეგლოვიტოვს გადაუწყვეტია, სახელმწიფო სათათბიროში თავის დღეში აღარ ილაპარაკოს.

**მცხოვრებთა აღწერა.** სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან: მიმდინარე წლის უკანასკნელ რიცხვებში სრულიად რუსეთის მცხოვრებთა აღწერა მოხდებაო. აღწერა ყველგან ერთ დღეს მოხდება.

**სამღვდელოების შუამდგომლობა.** „რუსკ: ვედ.“-ს სიტყვით ბესარაბიის სამღვდელოებას სინოდში შუამდგომლობა აღუძრავს, დაარსეთ განსაკუთრებული სასულიერო გიმნაზიებიო. სამღვდელოება თავის შუამდგომლობაში სწერს: ეხლა სემინარიებში ყველანი შედიან, ისეთებიც კი, რომლებსაც მღვდლობის სურვილი არა აქვთ, სასულიერო გიმნაზიების დაარსების შემდეგ-კი, სემინარიებში მხოლოდ ისეთები შევლენ, რომლებსაც განზრახული აქვთ მღვდელ-მსახურებაო. სასულიერო გიმნაზია კურს დამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლება ექნებათ.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 1, ხარკოვში 2, უფაში 3, რიგაში 1, სამარაში 2, ოდესაში 1 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ოდესაში 1, სარატოვში 1, სამარაში 2, უფაში 2, რიგაში 1 კაცი.

**გაზეთის დახურვა.** „კასპ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: უსახსრობისა გამო დაიკეტა მემარჯვენე ოქტომბრისტების ორგანო „ვოლოს პრავდი“-ო.

**დეპუტატების დაჯარიმება.** 26 თებერვალს სახელმწიფო სათათბირო იხილავდა იუსტიციის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით ამ დღეს მემარჯვენეებს სდომებიათ სათათბიროს სხდომის ჩაშლა, რისთვისაც მათ სხდომა მიუტოვებიათ და კულისებში გასულან. საქმე იმაშია, რომ ამ დღეს უნდა ელაპარაკნა იუსტიციის მინისტრის ამხანაგს, ვერიოვკინს, რომელიც მოუმზადებელი ყოფილა და ამის გამო მემარჯვენეებს სდომებიათ შეძლება მიეცათ მისთვის მომზადებულიყო. ცენტრს და მემარცხენეების მოთხოვნით გვარების ამოკითხვით უყაროთ კენჭი, გადაიდოს კრება თუ არაო. ის დეპუტატი, რომელიც სათათბიროში მოსულად ითვლება და კენჭის ყრაში მონაწილეობას არ იღებს 25 მანეთით ჯარიმდება. მემარჯვენეები გვარების ამოკითხვით კენჭის ყრას არ ელოდნენ და ეს იყო მიზეზი, რომ სათათბირო სხდომა მიატოვეს, ეგება დეპუტატთა კანონიერი რიცხვი არ აღმოჩნდეს და სხდომა გადაიდოსო. როდესაც მემარჯვენეებსაც გაუგიათ, რომ კენჭის ყრა გვარების ამოკითხვით ხდება, სათათბიროში ცალკ-ცალკე დაბრუნებულან. მემარჯვენეებს ცენტრი და მემარცხენეები ტაშით და სიცილით მიჰგებებიან. ტიმოშკინს დაჰგვიანებია და კენჭის ყრის შემდეგ შესულა. როდესაც მას გაუგია, რომ 25 მანეთით დაჯარიმება მოელის ისე გაბრაზებულა, რომ თავის სკამი გაუტეხია. სულ დაუჯარიმებიათ 47 ნაციონალისტი და 22 მემარჯვენე.

**გენერალი დუმბაძე.** „რუსკ. სლოვ.“ იალტიდან დეპეშით ატყობინებენ: რაკიღანაც ამ ბოლო დროს სატახტო ქალაქის გაზეთებში გენერალ დუმბაძის შესახებ ბევრი რამ მისთვის არა სასიამოვნო იბეჭდება, ამიტომ დუმბაძემ პოლიციას უბრძანა, გაიგეთ სადა სცხოვრობენ გაზეთის კორესპონდენტებიო. ამბობენ, რომ გენერალს აზრად აქვს „მჯღაბნელები“ იალტიდან გააძევოსო.

**შუამდგომლობა.** „რეჩი“ იუწყება: ბოლო დროს სატუსაღოების მთავარგამგეობაში სატუსაღოების კომიტეტები შუამდგომლობენ, რადგან ვადამდე განთავისუფლების კანონი უკვე დამტკიცდა, ამიტომ გაანთავისუფლეთ ის ტუსაღები, რომლებიც რიგიანად იქცევიან. უმთავრესად შუამდგომლობენ ციმბირის სატუსაღოების კომიტეტები. ამ კომიტეტის აზრით უნდა განთავისუფლდნენ ის კატორღელები, რომლებსაც კატორღა 1906—6 წელში გადაუწყვიტეს, სასჯელი მოიხადეს და ეხლა ციმბირში არიან დასახლებულნი.

# განცხადებანი


**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ-ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—58)

**ქმ. ავსარქისოვების ბაღი**

ჰყიდის სხვა და სხვა ხეხილის ნამყენებს. არის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილები.

ადრესი: Ст. Скра, (З. К. Ж. Д.) Авсаркисову. მსურველებს კატალოგები უფასოდ ეგზავნება. (15—1024—13)

**ი ყ ი დ ე ბ ა**

შეღავათიანის პირობებით მიწის ნაჭრები დიდუბეში, დიდუბის, შერემეტევის, ფოთისა და ანდრეევის ქუჩებზე და რკ. გზ. ლიანდაგს იქით, ავჭალის ქუჩაზე, აგრეთვე მე-9 ნაწილში, ლიანდაგის ორივე მხარეს, სომეხ. ნერსესიან სემინარიის ახალ შენობის გვერდით. იკითხეთ სახლის პატრონთან—მიხეილის პროს., N 91. (3—1039—2)

**7 მან. 30 კაპ.**

2 კოსტიუმი კაცისა და ორი ქალისა ზაკოსტიუმე ნაჭერი, ნახევრად ზამთრო ან საგაზაფხულო, კაცისა და ქალისა. იგზავნება 7 მან. 30 კაპ. (ციმბირში 85 კაპ. მეტი), ვისაც არ მოეწონება, ფაბრიკა ფულს უკან დაუბრუნებს. ნაჭრები შესდგება: კაცისა 4 ნახევ. არშ. ინგლისის ტრიკო, მკვრივი შალის მატერიისა ორ არშინიან განისა, და 8 „ოლიმპია“ მოდის სურამ. ტრიკო თიანი ქალის კოსტიუმისათვის. გაგზავნა ჩვენი ხარჯით. ფას-დადებით გაგზავნის დროს ხარჯი 16 კაპ. (ფოსტის ტაქსა). მსურველს იმავე ფასით (7 მან. 30 კაპ.) გაეგზავნება ორი ნაჭერი, კაცისა და ქალისა. ვინც 4-ს ან მეტ ნაჭერს დაიკვეთს იმას სრულიად უფასოდ გაეგზავნება: კაცის კოსტიუმისთვის ყოველ ნაჭრის სარჩული, ზოლო ქალის კოსტ. ნაჭრისთვის—საზღვარ-გარეთელის ტყავის სარტყელი. ადრესი: Лодзь, фабрика «Лодзинскій Экспортъ». (Мєтцль и ко. N 13635) (5—б.—5)

**ვაჭრების საყურადღებოდ**

ამით ვაუწყებთ პატივცემულ ვაჭრებს, რომ ტფილისში, შუა ბაზარში (სომხის ბაზარი) ჯმუხაძის ქარვასლაში ამა 1910 წლის იანვრის პირველ რიცხვებში გავხსენით

**საკომისიონერო კანტორა.**

ვკისრულობთ საქონლის გაგზავნას სხვა და სხვა ქალაქებში, აგრეთვე რკინის გზის სადგურიდან გადატანას, გვაქვს აბრეშუმის თესლი სხვა და სხვა საუკეთესო ფირმებისა. აქვე არის სუფთად მოწყობილი ოთახები პროვინციიდან მოსულ ვაჭრებისთვის, არის ბუფეტიც, სადაც მზადდება ყოველ-ნაირი საჭმელი.

(3—170—1) პატივისცემით პ. ი. რატიანი და ამხ.

**სრული პასუხის მგებლობა**

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

**„ფეხსაცმელების სახელოსნო“**

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა, აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით სუფთად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას. ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.

პატივისცემით ივ. სვ. ბერძნიშვილი.

**სრული პასუხის მგებლობა** (25—б.—2)

**ქუთაისში ქირავდება**

**სიცოცხლის წყაროს**

რესტორანის ბინა ბაღით. ქარვასლის ქუჩის ბოლოში თეთრ ხიდთან. გაქირავების პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სახლის პატრონთან ეზოში, ანუ მის რწმუნებულ ივანე ბარქაიასთან მაღაზიაში. (10—კვ.—8)

**ტარუმოვის სტამბასთან**

ტფილისში, ბარონსკისა და დიდი ვანქის ქუჩების კუთხეში,

**გავხსენით ქაღალდ-ტოპრაკების ქარხანა**

ამ ფირმით:

**ამხანაგობა „ზვეზდა“,**

სადაც ვაზადებთ სხვა და სხვა ზომის ტოპრაკებს, როგორც უბრალოებს, ისე ნაკეციანს გარმონის მსგავს, შემკვეთელ ფირმის ბეჭდით ან უბეჭდოთ. მზადდება ელექტრონის მანქანით, რომელიც საზღვარ-გარეთიდან მივიღეთ.

შეკვეთილ საქმეს ვაკეთებთ ხელმისაწვდენ ფასად, სწრაფად, კარგად და სინიდისიერად. ტფილისს გარედ მცხოვრებთ ტოპრაკები გაეგზავნებათ ფასს-დადებით შეს მიღების შემდეგ.

აქვე მიიღება ყოველგვარი სასტამბო საქმე.

ადრესი წერილებისთვის: Тифлисъ, фабрика бумажныхъ мѣшковъ, Т-во „Звѣзда“. ტელეგრამებისთვის: Фабрика „Звѣзда“.

(6—147—6) პატივისცემით ამ—ბა „ზვეზდა“.

**სოლოლაკში**

**აზოვის ბანკის ქვეშ, „პროვოდნიკის“ ამხ.-ბის გვერდით**

**ივ. გრ. კაჭკაჭევის**

**ახალ სამანუფაქტურო მაღაზიაში**

მოვიდა ახალი ტრანსპორტი საქონლისა. რადგან ფირმას არა სურს დარჩეს ძველი საქონელი და რადგან უნდა, რომ მუშტარს მიაწოდოს ახალ სურათებიანი საქონელი, სეზონისთვის დაინიშნა

**ი ა ფ ო ბ ა**

**მხოლოდ ექვსი დღით**

**5 და 6 მარტს**

აბრეშუმის, შალის, მაუდის, ტილოს და ბამბაზის ქსოვილი და აგრეთვე საბნები, ზეწრები, იუბკები, წინსაფარები, ხელსახოცები, შარვლები და მრავალი სხვა საქონელი მართლა იაფ-ფასად.

**შევაჭრება არ შეიძლება.**

**ი ა ფ ო ბ ა** (5—გაგ.—4)

**გაფრთხილება**

რადგან **სპერმინ-პელისა** დღითი-დღე ვრცელდება, ამიტომ ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელნიც ჩვენი წამლის ნაცვლად სხვას ჰყიდიან სხვა და სხვა სახელით (სპერმიტინის, სპერმინოლის, სპერმოლის, და სხვა სახელით). ხშირად ამ ყალბ სპერმინის გამყიდველნი თითონ სწერენ, ჩვენი წამალი **სპერმინ-პელის** „თანასწორია ან იმაზე უკეთესიო“. ხშირად ამ ყალბ წამალს ამზადებენ ისეთნი, რომელთაც ექიმობასთან არაფერი საერთო არა აქვთ: საათფთიაქრო და საპარფიუმერო მაღაზიების პატრონნი და სხვანი. რა თქმა უნდა, ასეთ ყალბ წამლებს მნიშვნელობა არა აქვთ და წამლის გამვრცელებელნი რეკლამებში ჰპაძავენ **სპერმინ-პელს** და ხალხი შეცდომაში შეჰყავთ.

ამის გამო ჩვენ მოვალეობად ვრაცხთ, **გავაფრთხილოთ** ისინი, ვინც **სპერმინით** სარგებლობენ. მეცნიერთა და ექიმთა გამოკვლევით, **სპერმინ-პელი** სასარგებლო წამალია: ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურებისა, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, კანკალის, მიოკარდიტის). არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს. ყველა მყიდველმა ყიდვის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს სახელს **სპერმინ-პელს** და ფორმას, რადგან სხვა პრეპარატები მხოლოდყალბია და მიმსგავსება **სპერმინ-პელისა. ფლაკონი ღირს** 3 მან. ლიტერატურა იგზავნება პირველ მოთხოვნილებისთანავე უფასოდ 290 Органотерапевтическій институтъ.

Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и СЫНОВЬЯ.

Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ.

(Метцль и К-о. № 177994). (8—б.—6)




რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აბლაძე,